

პეტრე ქვემაძე

ჩემი სამუშაო სამგზავრო გადაზიდვები

**ლექციების კურსი საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის მაგისტრანტებისათვის**

თბილისი - 2012

შაბ 656. 224

სალექციო კურსში განხილულია თანამედროვე ჩქარ-ოსნული სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვის განვითარების ძირითადი მიმართულებები. ჩამოყალიბებულია სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარის ამაღლების ტექნიკური და საექსპლუატაციო პირობები. მოყვანილია ჩქაროსნული მოძრაობის განხორციელებასთან დაკავ-შირებული ტექნიკურ-ეკონომიკური ანგარიშები. აღწერი-ლია თანამედროვე ჩქაროსნული სარკინიგზო მაგისტრალების ფუნქციონირების პრინციპები.

სალექციო კურსი განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის “ტრანსპორტის” სპეციალობის მაგისტრანტებისათვის.

რეცენზენტები: ასოცირებული პროფესორი რ. მორჩილაძე აკადემიური დოქტორი პ. შარვაშიძე

შესავალი

თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ფუნქცი-ონირება სატრანსპორტო სისტემის გარეშე წარმოუდგენელია. ეროვნული მეურნეობის დარგებს შორის ტრანსპორტი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, რადგანაც იგი აკავშირებს წარმოებისა და მოხმარების სფეროებს ერთმანეთთან. თუ ეს კავშირები ხორციელდება მაღალ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ დონეზე და თანაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნებისმიერი ქვეყნის სტრატეგიული ამოცანების გადაჭრაში, მაშინ სატრანსპორტო სისტემა გვევლინება ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ზრდის უმნიშვნელოვანეს ბერკეტად და აყვანილია სახელმწიფო მნიშვნელობის რანგში. დღეს მსოფლიოში ბევრი ცივილი-ზებული ქვეყნის ფუნქციონირების მნიშვნელოვან ფაქტორს სატრანსპორტო სისტემის გამართული მუშაობა წარმოადგენს. ამიტომ, ტრანსპორტის უწყვეტი განვითარება და პროგრესი ცივილიზებული სამყაროს მუდმივად აქტუალური საკითხია.

უნდა აღინიშნოს, რომ XXI საუკუნის დასაწყისში, სამგზავრო გადაზიდვის სფეროში ტრანსპორტის კონკრეტული სახეობის შერჩევის კუთხით, წინა პლანზე წამოიწია ორმა მნიშვნელოვანმა კრიტერიუმმა – მინიმალური რისკების არსებობამ და კომფორტულობის უმაღლესმა დონემ ტრანსპორტირების უმოკლესი

ვადების პირობებში. ამ კრიტერიუმების მიხედვით, მსოფლიოს მასშტაბით მოწინავე პოზიციებს ნელნელა, მაგრამ სტაბილურად იჭერს სარკინიგზო ტრანსპორტი, განსაკუთრებით ქვეყნის შიგა გადაზიდვებში. მაგალითად, იაპონია ჯერ-ჯერობით ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც სარკინიგზო ტრანსპორტი (ქვეყნის შიგნით) სრულ კონკურენციას უწევს საპარო ტრანსპორტს. დაახლოებით იგივე სიტუ-აციაა საფრანგეთის რკინიგზაზეც. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი აეროპორტი მდებარეობს ქალაქი-დან (დასახლებული პუნქტიდან) დაშორებით და იქ მისვლამდე საკმაო დრო იხარჯენა (0,5 სთ და მეტი), ამა-სთან, ყველა შემთხვევაში აუცილებელია ჩატარდეს ტექნოლოგიური პროცესებით გათვალისწინებული ოპერა-ციები (მგზავრთა რეგისტრაცია, ბარგისა და ხელბარგის ჩაბარება და მიღება, აეროპორტის შენობიდან ასაფრენ ზოლამდე მისვლა და სხვ.), რომელთა საერთო ხანგრ-ძლივობა უახლესი გამოთვლებით 1,5-2,0 სთ-ს შეადგენს, მატარებლის მოძრაობის მაღალი სიჩქარის პირობებში (250-300 კმ/სთ), მგზავრს უკვე დაკმაყოფილებული აქვს თავისი სატრანსპორტო მოთხოვნილება, ანუ ამ ხნის განმავლობაში იგი უკვე პოტენციურად მისულია დანიშნულების აღგილზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის ჩქაროს-ნული სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვები

ვითარდება არა მხოლოდ “სარკინიგზო” ქვეყნებში, არამედ ისეთ ქვე-ქნებშიც, რომლებიც სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების მაღალი დონით არ გამოირჩევიან. ამასთან, ჩეაროს-ნული სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვების განვითარება არის თანამედროვე სარკინიოგზო ტრანსპორტის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება.

1. სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვის განვითარების პირითაღი მიმართულებაები თანამედროვე პირობებში

1.1. თანამედროვე სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვითი პროცესის ზოგადი დახასიათება

თანამედროვე პირობებში მსოფლიოს ნებისმიერი, განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნის ფუნქციი-ონირება წარმოუდგენელია სატრანსპორტო სისტემის გარეშე. დღეს ტრანსპორტი წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების უმთავრეს დასაყრდენს. უნდა აღინიშნოს, რომ სატვირთო მიმართულებების, ცალკეული ქვეყნის ტერიტორიული განლაგებისა და ტვირთნაკადის ხასიათისაგან დამოკიდებულებით, სხვა-დასხვა ქვეყნის სატრანსპორტო სისტემაც სხვადასხვაა ერთი გამონაკლისის გარდა: ნებისმიერი ქვეყნის სატრანსპორტო სისტემაში სარკინიგზო ტრანსპორტს წამყვანი თუ არა მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცების საქ-მეში. სარკინიგზო ტრანსპორტის პრიორიტეტული როლი სატრანსპორტო სისტემაში, უკ. ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ იგი მუშაობს წლის ნებისმიერ დროს, დღისით და ღამით, განურჩევლად კლიმატური და მეტეოროლოგიური პირობებისა, რასაც ვერ ვიტყვით ტრანსპორტის სხვა სახეობებზე. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო

ათწლეულებში მაგისტრალური ტრანსპორტის წამყვანმა სახეობებმა თავიანთი განვითარების პიკს მიაღწიეს (სავტომობილო, საჰაერო, საზღვაო) და გარ-კეულწილად კონკურენტული გარემო შეუქმნეს სარკი-ნიგზო ტრანსპორტის ფუნქციონირებას, ამ უკანასკნელის ადგილი მსოფლიო სატრანსპორტო სისტემაში მაინც პრიორიტეტულია და ტვირთ- და მგზავრბრუნვის მოცულობის თვალსაზრისით (გადაზიდვები გაცილებით დიდ მანძილზე და რისკის კოეფიციენტის მინიმალური მნიშვნელობით), იგი პირველ ადგილზეა.

სარკინიგზო ტრანსპორტის ფუნქციონირებასა და განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სარ-კინიგზო სამგზავრო გადაზიდვებს უჭირავს. როგორც ცნობილია მგზავრთა გადაყვანა (მგზავრბრუნვა) არის სარკინიგზო ტრანსპორტის (და არა მარტო სარკი-ნიგზოსი) მუშაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი (პროდუქცია). მსოფლიოს მოწინავე, განვითარებულ “სარკინიგზო” ქვეყნებში სარკინიგზო პროდუქციის ბალანსი შეიძლება ასე გადავანაწილოთ: ტერიტორიულად დიდ ქვეყნებში, რომელიც მდიდარია სასარგებლო წიაღისეულითა და ბუნებრივი რესურსებით, წინა პლა-ნზე დგას სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვები და გადაზიდული ტვირთის მოცულობა. ამ ქვეყნებში მართალ-ია ინტენსიურად ვითარდება სამგზავრო გადაზიდვებიც, მაგრამ მისი განვითარების ტექნიკური და ტექნოლოგიური დონე

გარკვეულწილად ჩამორჩება სარკინიგზო სამგზავრო
გადაზიდვის არსებულ დონეს იმ ქვეყნებში, სადაც
წინა პლაზება, ანუ პრიორიტეტულია სამგზავრო
გადაზიდვა. ასეთ ქვეყნებად კი უპ. ყოვლისა
გვესახება ევროპის ტერიტორიულად პატარა, მაგრამ
მაღალგანვითარებული ქვეყნები და ასევე იაპონია.
დღეს ძალიან ცოტა ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც
სარკინიგზო ტრანსპორტი არ ფუნქციონირებს.

უნდა აღინიშვნოს, რომ XXI საუკუნის
დასაწყისში მსოფლიოს ცივილიზებული
განვითარების არნახულმა ტემპმა და მოწინავე
ტექნოლოგიების დანერგვამ ცხო-ვრებაში,
საფუძველი დაუდო მსოფლიო პროგრესს ეროვნული
მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში,
გამონაკლისი არც ტრანსპორტი იყო. ისე, როგორც
ტრანსპორტის სხვა სახეობამ, სარკინიგზო
ტრანსპორტმაც ინტენსიურად და პროგრესულად
დაიწყო განვითარება, კერძოდ, ცხოვრებაში
დამკვიდრდა დიდმასიანი და
გრძელშემადგენლობებიანი სატვირთო
მატარებლერის კურსირება, გაიზარდა მატარებლის
მოძრაობის სიჩქარე, ტექნოლოგიური
ოვალსაზრისით ადგილი დაიმკვიდრა
გადაუტკირთავმა, უვაგონო და უქადალდო
ტექნოლოგიებმა; სარკინიგზო სამგზავრო
გადაზიდვების პროგრესი აისახა სამგზავრო
მატარებლის მოძრაობის სიჩქარის განუხრელ
ზრდაში, მგზავრთა მომსახურებისა და მოძრაობის

უსაფრთხოების დონის ამაღლებაში. თუ XXI საუკუნის დასაწყისამდე რკინიგზის სიმძლავრის განსაზღვრის მთავარ კრიტერიუმს შეადგენდა რკინიგზის გამტარობისა და გადაზიდვის უნარი, დღეისათვის ამ სიდიდეს დაემატა სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარე. იმ რკინიგზას ენიჭება სიმძლავრის უფრო მაღალი რანგი (კატეგორია), რომელზეც ხდება სამგზავრო მატარებლის მაღალი სიჩქარის რეალიზება. შეიცვალა სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარის გამომ-ხატველი ტერმინოლოგიაც: თუ აქამდე სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარე ისაზღვრებოდა ტერმინთ “დადგენილი” და “ჩქარი”, რაც ცხოვრებაში გამოხატავდა მის მოძრაობას შესაბამისად 80 და 120 კმ/სთ-ით, დღეისათვის ამ ტერმინებმა მიიღეს სახე – “ჩქარი”, “ჩქაროსნული” და “ზეჩქაროსნული”, რაც რეალობაში გამოხატავს სამგზავრო მატარებლის მოძრაობას შესაბამისად 140, 200 და 200 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით.

სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარის ამაღლებამ თავის მხრივ მოითხოვა სარკინიგზო სამგზავრო მეურნეობაში არსებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური პაზ-ის გადახედვა; აუცილებელი გახდა ტრადიციული პარა-მეტრების კორექტირება, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა და ისეთი გარემოს დაარსება, როგორც ტექნიკური ასევე ტექნოლოგიური თვალსაზრისით, რომელიც დაგმაყოფილებდა თანამედროვე სარკინიგზო სამ-

გზავრო მოძრაობისათვის საჭირო მოთხოვნებს. ამ მიზნით გარკვეული პერიოდულობით იმართება საერთა-შორისო დონის კონგრესები და გამოფენები სარკინიგზო ჩქაროსნულ მოძრაობაზე, თეორიული, პრაქტიკული, ტექნოლოგიური და საექსპლუატაციო სიახლეებისა და გადაწყვეტილებების გაცნობისა და გაზიარების მიზნით. მთავარი ამ შეხვედრებში არის მსოფლიოს მასშტაბით სარკინიგზო სამგზავრო ჩქაროსნული მოძრაობის განვითარების მდგრამარეობა ტექნიკური და ტექნოლოგიური კუთხით.

დღეისათვის სარკინიგზო სამგზავრო ჩქაროსნული გადაზიდვა მასობრივად ვითარდება მსოფლიოს როგორც განვითარებულ, ასევე სარკინიგზო ტრანსპორტის თვალსაზრისით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. უდავოა, რომ უახლოეს მომავალში იგი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი გახდება ნებისმიერი ქვეყნის სარკინიგზო ტრანსპორტის ფუნქციონირებაში.

12. საქართველოს რკინიგზაზე სამგზავრო გადაზიდვითი პროცესის განვითარების მოქლე მიმოხილვა

რკინიგზის ტრანსპორტი ჩვენ ქვეყანაში უკვე 140 წელია ფუნქციონირებს. ხატოვნად რომ ვთქვათ იგი

არის ქვეყნის “სასიცოცხლო არტერია”, რომელიც გადის ბუნებრივად შექმნილ დერეფანში ქვეყნის მთელ ტერი-ტორიაზე, საქართველოს აკავშირებს მეზობელ ქვეყნებთან (რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი, პერსპექტივაში თურქეთი) და არის ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის “ძირითადი ხერხემალი”. თითონ ქვეყნის შიგნით დიდია სარკინიგზო ტრანსპორტის რო-ლი ეკონომიკის გაძლიერებაში: რკინიგზის ტრანსპორტის განშტოებები და ხაზები შედის ქვეყნის თითქმის ყველა რაიონში, გარდა რამდენიმე მთიანი რაიონისა და მის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს ერთმანეთთან აკავშირებს.

საბჭოთა კავშირის პირობებში საქართველოს რკინიგზა შემადგენელი ნაწილი იყო ამიერკავკასიის რკინი-გზისა, რომელიც აერთიანებდა ორი ქვეყნის – საქართველოსა და სომხეთის რკინიგზებს და საკავშირო მასშტაბით ერთ-ერთი მოწინავე იყო იმ 32 რკინიგზას შორის, რომელიც მაშინდელ საბჭოთა კავშირში იყო. მის მუშაობაში სატვირთო გადაზიდვებთან ერთად გან-საკუთრებული როლი ეჭირა მგზავრების გადაყვანას, ნაწილობრივ ტურიზმისა და ძირითადად საკურორტო ზონების სატრანსპორტო მომსახურების ხარჯზე. 1990 წლისათვის საქართველოს ტერიტორიაზე კურსირებდა დაახლოებით 130 წყვილი სამგზავრო მატარებელი. ამ მატარებლების მიმოსვლა ხორციელდებოდა საქართველოს რკინიგზის ყველა

უბანსა და განშოებაზე: თბილისი-ხაშური-ზესტაფონი-სამტრედია-ინგირი-სოხუმი-გაგრა-სოჭი; სამტრედია-ბათუმი; ზესტაფონი-ჭიათურა-საჩხერე; ხაშური-ბორჯომი-ახალციხე-ვალე; თბილისი-გარდაბანი, თბილისი-თელავი და სხვ. იმ დროისათვის წლიური მგზავრბრუნვა შეადგენდა დაახლოებით 2,8 მლრდ მგზავრ.კმ-ს; განსაკუთრებით ინტენსიური იყო სამგზავრო მატარებელთა მოძრაობა ზაფხულის პერიოდში. №1 ცხრილში მოყვანილია მგზავრბრუნვისა და გადაყვანილი მგზავრების დინამიკა წლების მიხედვით.

ცხრილი 1

მგზავრბრუნვისა და გადაყვანილი მგზავრების დინამიკა საბჭოთა პერიოდის ბოლო ათწლეულში ამიერკავკასიის რეკინგზაზე

მაჩვენებლები	წლები					
	1980	1982	1984	1986	1988	1990
წლიური მგზავრბრუნვა, მლრდ.მგზ.	4,04	4,09	4,16	4,18	4,11	2,81
გაგზავნილი (გადაყვანილი) მგზავრები, მლნ.მგზავრი	29,13	26,39	30,50	32,30	30,40	19,50

საქართველოს პირობებისათვის სარკინიგზო ტრანსპორტი ყველაზე ტრადიციული სახეობაა სამგზავრო გადაზიდვებში ტრანსპორტის სხვა სახეობებს შორის. იგი გამოირჩევა ტრანსპორტირების შედარებით დაბალი ფასით, მგზავრთა გადაყვანის მასობრიობით (სამგზავრო მატარებლის დასახლებულობა მერყეობს 300-500

მგზავრის ფარგლებში), მოძრაობის უსაფრთხოების მაღალი დონით, კომფორტისა და სერვისის ფართო დიაპაზონით (რბილი დასაწოლი ადგილები, ვიდეობარები, ვაგონ-რესტორნები, ევაკუირებული ტუალეტები), ენერგიის თი-თოვეული სახეობის გამოყენებისა (ელექტრული, თბური) და მთელი წლის განმავლობაში მუდმივად მუშაობის შესაძლებლობით, ეკოლოგიური თვალსაზრისით გარე-მოს მინიმალური დაბინძურებით. აღნიშნულიდან გამომ-დინარე, ჩვენი ქვეყნის პირობებში, სარკინიგზო ტრანსპორტი წარმოადგენს ტრანსპორტის ძირითად სახეობას, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ტრანსპორტის სხვა სახეობების მოქმედების კოორდინირება, ამასთან, სარკინიგზო კვანძებისა და სამგზავრო სადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი და საქმიანი ცხოვრება დიდი ინტენსივობით გამოირჩევა: აქ ფუნქციონირებენ სადღედამისო ავტოსადგურები, სასტუმროები, სავაჭრო ცენტრები, კავშირგაბმულობის კვანძები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, საფინანსო დაწესებულებები და სხვ.

საქართველოს დამოუკიდებელ და სუვერენულ ქვეყნად ჩამოყალიბების შემდეგ, მისმა ეკონომიკამ ახალი მიმართულებით დაიწყო განვითარება, რამაც გამოიწვია ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება საწარმოო პროცესებში. აღნიშნული გარემოება სრულად შექმნა სარ-კინიგზო სამგზავრო

გადაზიდვებსაც. საწარმოო პროცე-სების მართვა
მთლიანად დაეყრდნო საბაზრო ეკონო-მიკის
პრინციპებს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ
სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვის წინაშე
წამოჭრა სულ სხვა, ტრადიციულისაგან
პრინციპულად განსხვავებული მოთხოვნები, უპ.
ყოვლისა არარენტაბელური გადაზიდვების
რენტაბელურად გახდომა სამგზავრო გა-დაზიდვების
სტრუქტურის ცალკეული რგოლების მოდე-
რნიზაციისა ან ამ რგოლების ლიკვიდაციის
სარჯზე, წინააღმდეგ შემთხვევაში წამგებიანი
სამგზავრო გადა-ზიდვების გამორიცხვა; ერთიან
ტექნოლოგიურ და საფინანსო პოლიტიკაზე
გადასვლა, მართვის მარკეტინგული პრინციპების
დანერგვა და გამოყენება.

საზღვარგარეთის წამყვან “სარკინიგზო”
ქვეყნებში სამგზავრო გადაზიდვებს ყოველთვის
უპირატესი მდგო-მარეობა ეჭირა სატვირთოსთან
შედარებით და წარმო-ადგენდა შემოსავლის
ძირითად წყაროს სარკინიგზო ტრანსპორტზე. ასეთი
მდგომარეობის უმთავრესი მიზეზი იყო
მატარებელთა მოძრაობის მაღალი სიჩქარეები და
საექსპლუატაციო საიმედოობა. საბაზრო ეკონომიკის
პრინციპებიდან გამომდინარე, აუცილებელია
ტრანსპორტის ფუნქციონირების ეფექტური გზების
ძიება. აღნი-შნული პრობლემის გადაწყვეტაში
პრიორიტეტი მინიჭებული აქვს სამგზავრო
მატარებელთა მოძრაობის სიჩქარეების განუხერელ

ზრდას, ჩქაროსნული სარკინიგზო მაგისტრალების დაარსებასა და სამგზავრო გადაზიდვების კომფორტულობის უმაღლესი დონის შექმნას.

ზემოთ აღნიშნული მდგომარეობის ფონზე საქართველოს რკინიგზაზე სამგზავრო გადაზიდვები შემდეგნაირად ვითარდება: თუ წინა პერიოდში (საბჭოთა კავშირის პირობებში) სამგზავრო მატარებელთა მოძრაობა განიხილებოდა ვეებერთელა ტერიტორიაზე, სადაც ხშირად მგზავრობის პროცესს დღე-დღამები სჭირდებოდა და გავლილი მანძილი ათასობით კილომეტრს შეადგენდა, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში დია-მეტრულად შეიცვალა მგზავრნაკადების პროგნოზირებისა და სამგზავრო მატარებელთა ფორმირების საკითხები. აუცილებელი გახდა მარკეტინგული კვლევის სა-ფუძველზე მოსახლეობის მოთხოვნის განსაზღვრა სა-ტრანსპორტო საშუალებებზე და თვითონ სატრანსპორტო ბაზრის შესწავლა. დღეისათვის მხოლოდ მსგავსი გამოკვლევების საშუალებითაა შესაძლებელი სამგზავრო მატარებლების შედარებით დაზუსტებული ფორმირების გეგმისა და მოძრაობის გრაფიკის შედგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე საქართველოს რკინიგზაზე არსებობს მგზავრთა გადაყვანის შემდეგი სახეები: შორეული მიმოსვლის, ადგილობრივი და საგარეუბნო. თითქოს წინა პერიოდთან შედარებით არაფერი შეიცვალა, მაგრამ თვისობრივად კარდინა-

ლურად შეცვლილია სამგზავრო გადაზიდვითი პროცესი. დღეს სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეულია სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარის გაზრდა, ჩქა-როსხული სარკინიგზო მაგისტრალების დაარსება (ზოგ-ჯერ რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად, სარკინიგზო დერუფნებში ჩქაროსხული მოძრაობის ფუნქციონირების მიზნით), კომფორტულობის უმაღლესი დონის შექმნა როგორც ტრანსპორტირების პროცესში, ასევე სამგზავრო გადაზიდვებში.

ამ თვალსაზრისით საქართველოს რკინიგზაზე სამგზავრო გადაზიდვები შემდეგნაირად ვითარდება: განახლდა სამგზავრო მოძრავი შემადგენლობა (ძირითადად რეკონსტრუქციისა და შეკეთების სარჯზე), შეძენილ იქნა თანამედროვე ჩქაროსხული ელექტრული და დიზელ-მატარებლები, სპეციალიზებული გახდა სამგზავრო მატარებელთა მოძრაობის გრაფიკი (დღისა და დამის სამგზავრო მოძრაობა), დაიხვეწა სამგზავრო ბილეთების გაყიდვისა და რეალიზაციის ორგანიზაცია, სამგზავრო ვაგონი აღიჭურვა თანამედროვე უახლესი მოწყობილობებით, რომელშიც გამოყენებულია ულტრა თანამედროვე დიზაინი. ვაგონის სავალი ნაწილების მოდერნიზაციის, ზემგრნობიარე და საიმედო სამუხრუჭო სისტემებისა და ძირითადი

ტექნიკური პარამეტრების სრულყოფით, ამა-დლდა
მატარებლის მოძრაობის სიჩქარე.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოს
რკინიგზაზე სამგზავრო გადაზიდვითი პროცესი
სრულყოფილია. საერთაშორისო დონის მიღწევამდე
ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და
გადასაწყვეტი, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა
ინტენსიურად გრძელ-დება.

13. სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვების განვითარების ტენდენციები საერთაშორისო დონეზე და მისი გავლენა საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის ფუნქციონირებაზე

სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარის
ამა-დლება, შეიძლება ითქვას, რომ სარკინიგზო
ტრანსპორტის განვითარების მთელ პერიოდში იყო,
არის და იქნება “გაუხუნარი” აქტუალური საკითხი.
სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარის
ამაღლების აქტუალობა წამოიჭრა პირველი
რკინიგზების დაარსებისთანავე, როდესაც
სარკინიგზო ტრანსპორტისათვის აუცილებელი
გახდა კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა
სამდინარო და საჭაპანო ტრანსპორტთან
მიმართებაში. შეიძლება ითქვას, რომ პრინციპულად,
დაახლოებით იგივე სიტუაციაა დღესაც.
კონკურენციის მაღალი დონის პირობებში
სარკინიგზო ტრანსპორტს ბევრი მახასიათებელი

გააჩნია, რითაც შეუძლია პრივილიგირებული მდგომა-რეობა დაიჭიროს ტრანსპორტის სხვა სახეობებთან შედარებით.

დღეს, სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარის თვალსაზრისით, სამგზავრო მოძრაობა შეიძლება დავ-ყოთ სამ ძირითად ჯგუფად: ჩვეულებრივი – მატარებელი მოძრაობს 80-140 კმ/სთ სიჩქარით, ჩქაროსნული – მოძრაობის სიჩქარე მერყეობს 140-200 კმ/სთ-ის ფარგლებში და ზეზქაროსნული – მოძრაობა ხორციელდება 200 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით. უნდა აღინიშნოს, რომ სსენებული სი-ჩქარის დიაპაზონები ეველა ქვეყნისათვის არ არის მისა-ღები. მოწინავე “სარკინიგზო” ქვეყნებში, როგორიცაა საფრანგეთი, იაპონია, გერმანია და სხვა, აღნიშნული სიჩქარეები დიდი ხანია უკვე რეალიზებულია. ბევრ ქვე-ყანაში, როგორიცაა ბელგია, იტალია, ესპანეთი, ინგლისი, ჩინეთი და სხვა, მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა სსენებული სტანდარტების ცხოვრებაში განსახორციელებლად; განვითარებად ქვეყნებში მიზნადაა დასა-ხული ჯერ მხოლოდ ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა (რეკონსტრუქცია-დარსება). ყოველივე აღნიშნულს შეიძლება დაემატოს ისიც, რომ ჩქაროსნული მატარებლის ექსპლუატაცია მოძრაობის მაღალ სიჩქარეებთან ერთად ითვალისწინებს მგზავრთა მომსახურებისა და სერვისის უმაღლეს დონეს.

დღევანდელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ფარ-თოდ გამოიყენება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი მიღწევები, კერძოდ, სამგზავრო ბილეთების დაჯავშნისა და გაყიდვის ორგანიზაცია, ბილეთების მბეჭდავი მანქანები, საინფორმაციო-საცნო-ბარო მომსახურება, ვაგზლის მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფა, ხელბარგის შეფუთვის, შენახვისა და ვაგზლის ტერიტორიაზე ტრანსპორტირების ორგანიზაცია, ჩქაროსნული მატარებლის ვაგონში თანამედროვე დიზაინი და კომფორტულობის მაღალი დონე, ინტერნეტის გამოყენების შესაძლებლობა ბილეთების დაჯავშნისა და მატარებლის მოძრაობის განრიგის მონაცემების გარკვევაში და სხვა.

ზევით ჩამოთვლილი კონკრეტული ოპერაციებიდან ბილეთების გაყიდვისა და რეალიზაციის ორგანიზაციას ეთმობა უმნიშვნელოვანესი ადგილი ჩქაროსნული სამგზავრო მოძრაობის განხორციელების დროს. დღეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება ბილეთების დაჯავშნისა და გაყიდვის ავტომატიზებული სისტემები. იაპონიაში, გერმანიაში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში, აღნიშნული სისტემების მეშვეობით შესაძლებელია 2 დღიდან 6 თვეს განმავლობაში ბილეთების წინასწარი დაჯავშნა, ამასთან, წინასწარ გაყიდული (დაჯავშნული) ბილეთების წილი მთლიან მგზავრნაკა-დში შეადგენს დაახლოებით 65-70%-ს.

იაპონიაში ფუნ-ქციონირებს მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც შე-საძლებელია ადგილების დაჯავშნა 1548 მატარებელზე. აქ ტურისტული მომსახურებისათვის გამოიყენება სის-ტემა “მარს-202”, რომელიც უზრუნველყოფს ადგილების დაჯავშნას 5 თვით ადრე მატარებლის გამგზავრებამდე; ჯგუფურ (ტურისტულ) შეკვეთებში მგზავრთა რიცხვი შეიძლება იყოს 900-1000, ფაქტიურად შესაძლებელია წინასწარ დაიჯავშნოს ადგილები მთელ მატარებელში. მსგავსი სისტემა ფუნქციონირებს გერმანიაში (“ერა”), რომლის საშუალებითაც იჯავშნება ადგილები 1200 მატარებელზე 2 სთ-დან 3 თვემდე, მატარებლის გამგზავრებამდე. აღნიშნულ სისტემაში ჩართულია 450 პერი-ფერიული მართვის პულტი, რომელთა ნაწილიც განლა-გებულია ავსტრიის, ბელგიის, ლუქსენბურგის, დანიის, პოლანდიისა და ბრიტანეთის რეინიგზებზე. ბოლო პე-რიოდში სისტემა “ერა” მოქმედებს ევროპის 9 ქვეყანაში – გერმანია, პოლანდია, დანია, იტალია, საფრანგეთი, ავ-სტრია, ბელგია, ლუქსენბურგი და შვეიცარია. მგზავრს შეუძლია ნებისმიერ ქვეყანაში დაჯავშნოს ადგილი საერთაშორისო ჩქაროსნულ მატარებელზე.

მსგავსი სისტემა ფუნქციონირებს რუსეთში, “ექს-პრეს-3”-ის სახით. სარკინიგზო-სამგზავრო გადაზიდვების განვითარების თანამედროვე ტექნიკიებს შეიძლება მივაკუთვნოთ კიდევ ავტომატური ბილეთის მშექმნავი მანქანები.

მოწინავე ქვეყნების რკინიგზებზე გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ბილეთის მბეჭდავი მანქანები და ავტომატები, რომელთაც აქვთ კომპაქტური საბეჭდი მოწყობილობები, ბეჭდვის დიდი სიჩქარე და დიდი საი-მედოობა. ბოლო პერიოდში შექმნილი ბილეთის მბეჭდავი ავტომატები თავიანთი კონსტრუქციით გამოირჩევა წინამორბედისაგან: მათ აქვთ ბილეთის ღირებულების გადახდის ფართო არჩევანი (სხვადასხვა ვალუტით), ოპერაციების წარმოების შესაძლებლობა როგორც მონე-ტებზე, ასევე ქაღალდის ფულზე, როგორც გადახდის, ასევე ხურდის დაბრუნების თვალსაზრისით.

თანამედროვე სარკინიგზო-სამგზავრო გადაზიდვების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტენდენციაა სამგზავრო სერვისის ძალიან მაღალი დონე. აბსოლუტურად გამორიცხულია ყველა პრობლემა ბილეთის შეძენაზე. ყველა ჩქაროსნულ მატარებელში გათვალისწინებულია 15%-იანი თავისუფალი ადგილების რიცხვი იმ მგზავრებისათვის, რომელთაც ბოლო მომენტში გადაწყვიტეს გამგზავრება; ეს ადგილები განკუთვნილია კიდევ იმ შესაძლო მგზავრისათვის, რომელიც საჭიროებს ტრანსპორტირებას ექსტრემალური სიტუაციებიდან გამომდინარე (გამოძახება დეპეშით, დაუგეგმავი საჭიროებით გადაადგილება, სასწრაფო მივლინება და სხვ.). თითქმის ყველა მოწინავე ქვეყანაში ჩქაროსნული მატარებელი ითვლება შევხილად, თუ

მასში მგზავრების რაოდენობა შეადგენს მატარებლის ტევადობის (დასახ-ლებულობის) 65%, ხოლო ტექნიკურ-ეკონომიკურ ანგარი-შებში მატარებლის სრული შევსების მაჩვენებლად მიღებულია 50%, ე.ო. ფინანსური და ეკონომიკური გათვლები კეთდება მატარებლის ტევადობის 50%-ზე. ჩქაროსნულ მოძრაობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის მთავარ ფაქტორს შეადგენს უპრობლეგმო ტრანსპორტირება (ბილეთის შეძენისა და მატარებლის რაციონალური გრაფიკით მოძრაობის თვალსაზრისით), ტრანსპორტირების მინიმალური ვადები და თითქმის მოძრაობის 100%-იანი უსაფრთხოება. აღნი-შნული კრიტერიუმების მიხედვით, როგორც მსოფლიოს პრაქტიკამ გვიჩვენა, ჩქაროსნულმა სამგზავრო მოძრაობამ საერთაშორისო დერეფნებში მიიზიდა საპაკერო ტრანსპორტის მგზავრნაკადებიდან დაახლოებით 60, საავტომობილოდან – 50, კერძო მფლობელობის ავტო-ტრანსპორტიდან კი დაახლოებით 80%. ყველა შემთხვევაში ჩქაროსნული სარკინიგზო-სამგზავრო მოძრაობის წარმატების გარანტიაა ტრანსპორტირების მინიმალური ვადები მაღალი სიჩქარეებისა და პრაქტიკულად სრული უსაფრთხოების პირობებში. ასე მაგალითად, საფრანგეთის რკინიგზის მიმართულებაზე პარიზი-სამხრეთ-აღმოსავლეთი, რომლის სიგრძეც 600 კილომეტრამდეა, მთლიანი მგზავრნაკადის დაახლოებით 80% მგზავრობს

ჩქაროსნული რეინიგზით. აქ სარკინიგზო ტრანსპორტი სრულ კონკურენციას უწევს ყველა სახის ტრანსპორტს და უპ. ყოვლისა საჰაეროს; ტრანსპორტირების ვადები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საჰაერო ტრანსპორტზე.

ჩქაროსნული მოძრაობის მატარებელი ადგურვილია ჰაერის კონდიცირებისა და გათბობის სისტემებით. საფრანგეთის ჩქაროსნული მატარებლის (“მისტრალი”) ვაგონში მგზავრს ამომწურავი ინფორმაცია შეუძლია მიიღოს მგზავრობის პირობებზე, ვაგონის შესასვლელში დამონტაჟებული ელექტრონული საინფორმაციო ტაბ-ლოს საშუალებით (ადგილების განლაგება ვაგონში, თამბაქოს მოწევის შესაძლებლობა, რესტორნის მუშაობის განრიგი და სხვ.). ამ ვაგონში მგზავრს შეუძლია მიიღოს ინდივიდუალური მუსიკალური უზრუნველყოფა, ადგილიდან აუდგომლად შეუძლია ნებისმიერი კერძის შეკვეთა რესტორანში. ადნიშნული მატარებლის გამცილებელმა იცის მინიმუმ 3 საერთაშორისო ენა, რაც უადვილებს მას ურთიერთობას სხვადასხვა ეროვნების მგზავრებთან. მატარებელში ფუნქციონირებს სამედიცინო დახმარების პუნქტი, საპარიკმახერო, მდივან-მემანქანის სამუშაო ადგილი, გაზეთებისა და სუვენირების კიოსკი. თეთრეულის გაშლა-ალაგებას ემსახურება სერვისის შესაბამისი ფირმის მუშაკი და არა გამცილებელი. მგზავრის კვება შესაძლებელია როგორც ვაგონ-რესტორანსა და

ბუფეტში, ასევე ადგილზე, – კუპეში; ამ პროცესს ემსახურება სპეციალური მიმტანი. ბოლო პერიოდში ჩქაროსნულ მატარებელში ფართო გავრცელება ჰქოვა მგზავრთა კვების თვითმომსახურების ავტომატებმა. ამრიგად, ჩამოთვლილი ტენდენციები თითქმის სრულად ახასიათებს თანამედროვე სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვების განვითარებას.

როგორც ცნობილია საქართველოს რკინიგზამ ქვეყნის დამოუკიდებლობის წლებში მართალია ნელა, მაგრამ სტაბილურად დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიოს სატრანსპორტო სისტემაში. მიუხედავად იმისა, რომ დაიხვეწა და განახლდა სამგზავრო გადაზიდვების სტრუქტურა, ამაღლდა კომუნიკაციულობისა და მომსახურების დონე, მატარებლის მოძრაობის სიჩქარის ამაღლების საკითხები კვლავაც აქტუალურია. საქართველოს რკინიგზის ცენტრალური მიმართულების მცირე სიგრძის გამო, მოცემულ პირობებში ჩქაროსნული სარკინიგზო მაგისტრალის მოწყობა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია არსებულ რკინიგზაზე ჩქაროსნული მოძრაობის სრულყოფა. ამ კუთხით ხორციელდება კონკრეტული ნაბიჯები (სალოკომოტივო მხრების დაგრძელება, მატარებლების სპეციალიზაცია დღე-ღამის პერიოდის მიხედვით და სხვა), მაგრამ პერსპექტივაში გასაკეთებელი კიდევ ბევრია. საქართველოს რკინიგზაზე ჩატარებული სამუშაოების ფონზე

ტრანსპორტის სხვა სახეობებთან შედარებით, გაცილებით დაბალია რისკის კოფიციენტი, ასევე დაბალია სამგზავრო ტარიფები, დამაკმაყოფილებელია ჩქაროსნულ სამგზავრო მატარებელში თანამედროვე დიზაინი და კომფორტულობის დონე, მაგრამ მოძრაობის სიჩქარის გაზრდის თვალ-საზრისით საჭიროა არსებული რეზერვების (ტექნიკური, ტექნოლოგიური, მეთოდოლოგიური) სრული გამოყენება, რაც საქართველოს რკინიგზას უახლოეს მომავალში მოუწევს – სატრანსპორტო ბაზარზე დამკვიდრების მიზნით აუცილებელი იქნება ამ რეზერვების რეალიზება.

2. სამგზავრო გატარებლის მოძრაობის სიჩქარის ამაღლებაზე მოქმედი ფაქტორები

2.1. ჰაერის წინააღმდეგობისა და საანგარიშო ქანობის გავლენა სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარეზე

თეორიული და პრაქტიკული კვლევა სამგზავრო მა-ტარებლის მოძრაობის სიჩქარის ამაღლების თვალსაზრისით, მსოფლიოს ყველა “სარკინიგზო” ქვეყნის აქტუ-ალური საკითხია. მატარებლის მოძრაობის სიჩქარის ამაღლება დაკავშირებულია ბევრ ფაქტორთან, რომელთა შორის მთავარია წევის სახეობა, მოძრავი შემადგენლობის კონსტრუქციული გადაწყვეტა (კონსტრუქციული თავისებურებები), რკინიგზის გამტარუნარიანობა და ტექნიკური

ადჭურვილობის დონე (სალიანდაგო მეურნეობა, სარკინიგზო სიგნალიზაცია, კავშირგაბმულობა და სატელეკომუნიკაციო ქსელი, ელექტრომომარაგების სის-ტემა და სხვა). აღნიშნულთან ერთად მნიშვნელოვანი ფაქტორია მოწინავე, ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შეიძლება მიღწეული იქნეს მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე ამა თუ იმ კონკრეტულ უბანზე, მაგრამ იგი არ იყოს ოპტიმალური მთლიანი ხაზისა ან მიმართულებისათვის. აქ უკ. ყოვლისა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მატარებლის მასა და წევის სახეობა. ცალკეულ მატარებელთა მოძრაობის სიჩქარის ამაღლება შესაძლებელია ზემოთ აღნიშნულ დონისძიებათა კომპლექსის ანუ ორგანიზაციულ-ტექნიკურ დონისძიებათა საფუძველზე. ამასთან, მატარებლის სიჩქარის მკვეთრი გაზრდა (სამარშრუტო სიჩქარის გადიდება მინიმუმ 10 კმ/სთ-ით) მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს: ჩქაროსნული ლოკომოტივის ექსპლუატაციას სათა-ნადო სიმძლავრითა და მაღალი კონსტრუქციული სიჩქარით, სამგზავრო ვაგონის გამოშვებას შესაბამისი კონსტრუქციის ურიკებითა და სამუხრუჭო მოწყობილობით, რკინიგზის ლიანდაგის მძლავრ ზედნაშენს, დიდი რადიუსის მრუდებს რკინიგზის ხაზებზე, სპეციალური კონსტრუქციის ისრულ გადამყვანს (დაქანებული მარკებითა და ჯვარედინის მოძრავი

გულარით), სარკინიგზო ავტო-მატიკისა და ტელეკომუნიკაციების უახლეს სისტემებსა და სტაბილურ ელექტრომომარაგებას.

ანგარიშებით დადგენილია, რომ სამგზავრო მატა-რებელი, რომლის წონაც შეადგენს 1000-1200 ტ, საჭირო-ებს ლოკომოტივს 4400-4500 კვტ სიმძლავრით. ნულოვან ქანობზე ამ შემთხვევაში რეალურად რეალიზებული სიჩქარე შეადგენს 160 კმ/სთ-ს, ხოლო 9-10 % ქანობზე – დაახლოებით 100 კმ/სთ-ს. მატარებლის მასის 500 ტ-ით შემცირება ლოკომოტივის წონის ჩათვლით ($\approx 50\%$) იგივე სიმძლავრის პირობებში, იწვევს მოძრაობის სიჩქარის გადიდებას 200-220 კმ/სთ-მდე. უფრო დიდი სიჩქარის პირობებში, მაგალითად სიჩქარის 200-დან 250 კმ/სთ-მდე გაზრდის შემთხვევაში, ლოკომოტივის საჭირო წევის ძალა ორმაგდება, ხოლო სიჩქარე იზრდება დაახლოებით 25%-ით; ოპტიმალური სიჩქარე ამ შემთხვევაში მერყეობს 215-220 კმ/სთ-ის ფარგლებში. დადგენილია, რომ სამგზავრო მატარებლის 200 კმ/სთ-ითა და მეტი სიჩქარით მოძრაობის დროს ლოკომოტივის წევის ძალის დაახლოებით $2/3$ იხარჯება ჰაერის წინააღმდეგობაზე. ამრიგად, ჰაერის წინააღმდეგობა არის მატარებლის სიჩქარის გაზრდის შემზღვდავი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

ჰაერის წინააღმდეგობა მატარებლის მოძრაობის დროს დამოკიდებულია ისეთ მნიშვნელოვანი ფაქტორებზე, როგორიცაა მოძრაობის სიჩქარე,

მატარებლის სიგ-რძე, მოძრავი შემადგენლობის გეომეტრიული ზომები და ფორმა. სხვადასხვა ქვეყანაში პაერის წინააღმდეგობას სხვადასხვაგვარად ითვლიან. ინგლისში ლოკომოტივის შუბლზე მოსული პაერის წინააღმდეგობა გამოითვლება ფორმულით:

$$W = C_{\text{შებ}} S_{\text{შებ}} K_{\text{პრ}} v^2, \quad (2.1)$$

სადაც $C_{\text{შებ}}$ არის ლოკომოტივის შუბლზე მოსული პაე-

ღის წინააღმდეგობის კოეფიციენტი;

$$C_{\text{შებ}} =$$

$$2,44-3,91;$$

$S_{\text{შებ}}$ - ლოკომოტივის შუბლის ფართი, მ^2 ;

$K_{\text{პრ}}$ - პროპორციულობის კოეფიციენტი, $K_{\text{პრ}} = 0,00103$;

v - მატარებლის მოძრაობის სიჩქარე, კმ/სთ.

საფრანგეთის რკინიგზაზე შემადგენლობაზე მოსული ძირითადი დაყვანილი წინააღმდეგობა (იგულისხმება ელექტრომატარებელი) გამოითვლება ფორმულით:

$$W = 2,37 + 0,000213v^2. \quad (2.2)$$

გერმანიაში ამ სიდიდეს საზღვრავენ შემდეგნაირად (მთლიანად მატარებელზე მოსული წინააღმდეგობა):

$$W = 3,0P + 0,25F_{\text{լողաց}} \left(v/10\right)^2 + 1,5Q + 0,025vQ + \\ + 0,6(m+2) \left(\frac{F_{\text{լոց}}}{10}\right) \left(\frac{v+15}{10}\right)^2, \quad (2.3)$$

სადაც P და Q არის შესაბამისად ლოკომოტივისა და

შემადგენლობის წონა, ტ;

$F_{\text{լողաց}}, F_{\text{լոց}}$ - შესაბამისად ლოკომოტივისა და

პა-

გონის საპროექტო ფართი, მ²;

m - გაგონების რიცხვი შემადგენლობაში.

იაპონიაში ჩქაროსნული მატარებლის (ელექტრომატარებელი) მოძრაობის წინააღმდეგობა განისაზღვრება ფორმულით:

$$W = (1,6 + 0,35v)Q \frac{1,25}{2} \left(0,46 + 0,0025l_{\text{ას}}\right) \frac{F}{10} \left(\frac{v}{3,6}\right)^2,$$

(2.4)

სადაც Q არის ელექტრომატარებლის ბრუტოწონა,

ტ;

1,25 - პაერის სიმკვრივის კოეფიციენტი;

$l_{\text{ას}}$ - მატარებლის სიგრძე, მ;

F - ელექტრომატარებლის ერთი გაგონის შებ-

ლის საპროექტო ფართი, მ².

ჩვენი პირობებისათვის მატარებლის მოძრაობის ძირი-თადი დაყვანილი წინადობა განისაზღვრება ცნობილი ფორმულით:

$$W = \frac{W_0' P + W_0'' Q}{P + Q},$$

(2.5)

სადაც W_0' არის ლოკომოტივის მოძრაობის ძირითადი კუთრი წინაღობა, კგქ;

W_0'' - სამგზავრო შემადგენლობის ძირითადი კუთ-

რი წინაღობა, კგქ;

P - ლოკომოტივის წონა, ტ;

Q - შემადგენლობის ბრუტოწონა, ტ.

$$W_0' = 1,9 + 0,01v + 0,0003v^2, \quad (2.6)$$

$$W_0'' = 1,2 + 0,012v + 0,0002v^2. \quad (2.7)$$

ზემოთ მოყვანილი ფორმულების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ რაც ნაკლებია მატარებლის მოძრაობის კუთრი წინაღობა, მით უფრო მეტი შესაძლებლობაა მოძრაობის დიდი სიჩქარის რეალიზებისა ლოკომოტივის ერთი და იმავე სიმძლავრის პირობებში.

იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს მატარებლის სიჩქარის გადიდება გარკვეულ სიდიდემდე, გარდა ზემოთ მოყვანილი ფაქტორებისა, აუცილებელია ლოკომოტივის საჭირო სიმძლავრის დადგენა. ლოკომოტივის კუთრი სიმძლავრე დამოკიდებულია მატარებლის წონასა და სიჩქარეზე. შესაბამისად, მატარებლის მოცემული წონისა და ლოკომოტივის კუთრი სიმძლავრის მიხედვით, შეიძლება

განისაზღვროს ლოკომოტივის საჭირო სიმ-ძლავრე მატარებლის სხვადასხვა სიჩქარით მოძრაობის დროს.

ლოკომოტივის კუთრი სიმძლავრე
განისაზღვრება:

$$f = \frac{N_{\text{ლო}}}{P + Q_{\text{ბ}}}, \quad (2.8)$$

სადაც P არის ლოკომოტივის წონა, ტ;

$Q_{\text{ბ}}$ - შემადგენლობის ბრუტოწონა, ტ;

$N_{\text{ლო}}$ - ლოკომოტივის სიმძლავრე, კვტ.

დამოკიდებულება მატარებლის მოძრაობის სიჩქარე-სა, ლოკომოტივის სიმძლავრესა და მატარებლის წონას შორის განისაზღვრება ფორმულით:

$$\nu = \frac{367 N_{\text{ლო}}}{F_{\text{ბ}}^{''}} = \frac{367 N_{\text{ლო}}}{P(W_0' + i_{\text{b}}) + Q(W_0'' + i_{\text{b}})}, \quad (2.9)$$

სადაც i_{b} არის საანგარიშო ქანობი უბანზე (დანარჩენი


აღნიშვნები ცნობილია).

მოყვანილი განტოლების მიხედვით

$$N_{\text{ლო}} = \frac{\nu [P(W_0' + i_{\text{b}}) + Q(W_0'' + i_{\text{b}})]}{367}. \quad (2.10)$$

როგორც (2.10) ფორმულიდან ჩანს, მოცემული სარეალიზაციო სიჩქარის პირობებში (პერსპექტიული სიჩქარე) ლოკომოტივის სიმძლავრე

დამოკიდებულია მატა-რებლის მასაზე, პაერის წინააღმდეგობასა და საანგა-რიშო ქანობზე. იმისათვის, რომ პაერის წინააღმდეგობა მინიმუმამდე შემცირდეს, თითქმის მსოფლიოს ყველა მოწინავე “სარკინიგზო” ქვეყანაში ჩქაროსნული მოძრაობისათვის გათვალისწინებულ მოძრავ შემადგენლობას აქვს მაქსიმალურად გლუვი, გარსშემომდენი ფორმა. მაგალითისათვის იაპონური წარმოების ჩქაროსნულ სამგზავრო ვაგონში მის გლუვ ძარასა და სამგზავრო სალონის ფანჯრის პირაპირზე დაშორება შეადგენს 3 მმ-ს. 2.1 ნახ-ზე ნაჩვენებია ლოკომოტივის საჭირო სიმძლავრის დამოკიდებულება მატარებლის სარეალი-ზაციო (პერსპექტიულ) სიჩქარეზე საანგარიშო ქანობის სხვადასხვა მნიშვნელობის დროს. როგორც ნახაზიდან ჩანს, მატარებლის მოძრაობის სიჩქარის გაზრდის პრო-პორციულად იზრდება მოძრაობის (პაერის) წინააღმდე-გობაც. მაგალითად, ნულოვანი ქანობის პირობებში, ჩვეულებრივ სამგზავრო ვაგონებისაგან შემდგარ მატა-რებლის ლოკომოტივს (მატარებლის მასა ყველა შემ-თხვევაში ერთნაირია $Q = 800$ ტ) 160 კმ/სთ სიჩქარის რეალიზებისათვის სჭირდება 3700 კვტ სიმძლავრე, როცა იგივე სიჩქარის რეალიზებისას გარსშემომდენი ფორმის ვაგონებით შემდგარი მატარებლის პირობებში, ეს



ნახ. 2.1. ლოკომოტივის საჭირო სიმძლავრე მატარებლის მოძრაობის წინადმდეგობისა (პაერის) და სარეალიზაციო (პერსპექტიული) სიჩქარისაგან დამკიდებულებით საანგარიშო ქანობის სხვადასხვა მნიშვნელობის დროს.

----- წევულებრივი (მთლიანდიოთონის) სამგზავრო ვაგონები- საგან შემდგარი მატარებელი; -- -- გლუვზებდაპირიანი (გარსშე-მომდენი) ვაგონებისაგან შემდგარი მატარებელი

სიმძლავრე შეადგენს 1900 კვტ-ს. მოძრაობის სიჩქარის

გაზრდით 240 კმ/სთ-მდე, ლოკომოტივის საჭირო სიმძლავრე შესაბამისად უნდა იყოს 9100 და 5300 კვტ, ე.ი. სიჩქარის გაზრდამ 80 კმ/სთ-იანი დიაპაზონით გამოიწვია ლოკომოტივის საჭირო სიმძლავრის გაზრდა I შემთხვევაში $9100 - 3700 = 5400$ კვტ-ით, ანუ 1,5-ჯერ და II შემთხვევაში – 5300-

1900=3400 კვტ-ით, თითქმის 2,8-ჯერ. ამასთან, 160 კმ/სთ სიჩქარის რეალიზების დროს, გარსშემომდენი ვაგონის ექსპლუატაციით მიღებულმა ეკონომიაშ შეადგინა $5300-1900=3400$ კვტ, ხოლო 240 კმ/სთ-ის დროს – $9100-5300=3800$ კვტ. ადსანიშნავია აგრეთვე მატარებლის მოძრაობის წინააღმდეგობის გაზრდა საანგარიშო ქანობის ზრდის მიხედვით. ასე მაგალითად, თუ 160 კმ/სთ სიჩქარის დროს ჩვეულებრივი ვაგონების პირობებში ლოკომოტივის საჭირო სიმძლავრე ნულოვან ქანობზე უნდა ყოფილიყო 3700 კვტ, იგივე სიჩქარის რეალიზებისათვის 50% საანგარიშო ქანობზე, ლოკომოტივს ჭირდება შესაბამისად 5100 და 2900 კვტ სიმძლავრე (1400-ითა და 1000 კვტ-ით მეტი), ხოლო 90% -იანი ქანობის დროს, ლოკომოტივის საჭირო სიმძლავრე უნდა იყოს შესაბამისად 6200 და 4000 კვტ, ე.ი. $6200-3700=2500$ და $4000-1900=2100$ კვტ-ით მეტი ვიდრე ნულოვანი ქანობის დროს. ამრიგად, მატარებლის მოძრაობის სიჩქარის გაზრდისას, გარდა ჰაერის წინააღმდეგობისა, შესაბამისად იზრდება ქანობით გამოწვეული წინა-აღმდეგობაც, რაც მოითხოვს ლოკომოტივის სიმძლავრის შესაბამის გაზრდას.


ზემოთ მოყვანილი ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარის გაზრდა ჩვეულებრივი ვაგონის პირობებში 150-160 კმ/სთ-იდან 240-250 კმ/სთ-მდე, იწვევს ლოკომოტივის სიმძლავრის გაზრდას საშუალოდ

2,5-ჯერ, გარსშემომდევნი ვა-გონის დროს კი ეს სიდიდე ოდნავ ნაკლებია – 2,3-2,4-ჯერ. სიჩქარის გაზრდის აღნიშნულ დიაპაზონში გარს-შემომდევნი ვაგონის ექსპლუატაციით მიღებული ლოკო-მოტივის საჭირო სიმძლავრის ეკონომია, ჰაერის წინა-აღმდეგობის შემცირების ხარჯზე, შეადგენს 2000-3000 კვტ-ს. საანგარიშო ქანობის გაზრდა იწვევს მოძრაობის წინააღმდეგობის შესაბამის გაზრდას და აქედან გამო-მდინარე, ლოკომოტივის საჭირო სიმძლავრის გაზრდა-საც. საანგარიშო ქანობის ცვალებადობით $1-10\%$ -მდე, ლოკომოტივისათვის საჭირო სიმძლავრე იზრდება საშუალოდ 2000-3000 კვტ-ით.

2.2. მატარებლის მასის გავლენა მოძრაობის სიჩქარეზე

მატარებლის მოძრაობის სიჩქარის გაზრდა უშუალო კავშირშია მატარებლის მასასთან (ბრუტოწონასთან). 2.2 ნახ-ზე ნაჩვენებია ეს დამოკიდებულება. როგორც ნახაზიდან ჩანს, მატარებლის წონის გაზრდით ლოკომოტივის საჭირო სიმძლავრე გაცილებით იზრდება, ვიდრე ჰაერის წინააღმდეგობითა და საანგარიშო ქანობის მიხედვით. ასე მაგალითად, თუ ჩვეულებრივი სამგზავრო ვაგონით შედგენილი 800 ტონიანი მატარებლის ლოკომოტივს 160 კმ/სთ სიჩქარის რეალიზებისათვის 5% -იანი ქანობის პირობებში


ჭირდება 5100 კვტ სიმ-ძლავრე, ხოლო 240 კმ/სთ
 სიჩქარეზე კი 10300, ე.ი. ჰაუ-რისა და ქანობის
 წინააღმდეგობით გამოწვეული სიმძლავრის ნამატი
 შეადგენს 5200 კვტ, იგივე პირობებში 1200 ტონიანი
 მატარებლის ექსპლუატაციის დროს, ეს ნამატი
 შეადგენს 23838 ($v=240$ კმ/სთ)-7080 ($v=160$
 კმ/სთ)=16758 კვტ, ე.ი. $16758-5200=11558$ კვტ-ით მეტს.
 მატარებლის წონის შემცირებით (განახევრებით)
 400 ტონამდე, იგივე პირობებში, ლოკომოტივის
 საჭირო სიმძლავრის ნამატი შეადგენს 5857-2462=3395
 კვტ, ანუ 800 ტონიან მატარებელთან შედარებით
 $(10300-5100)-3395=1805$ კვტ-ით ნაკლებს. აქედან
 გამომდინარეობს, რომ გარდა მინიმა-ლური
 საანგარიშო ქანობისა და ვაგონის გაუმჯობე-
 სებული (გარსშემომდენი) კონსტრუქციისა,
 სამგზავრო



ნახ. 2.2. სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარის
დამოკიდებულება მატარებლის მასაზე

მატარებლის მოძრაობის სიჩქარის გადიდების ერთო
მნიშვნელოვანი ფაქტორია მატარებლის ბრუტომასის შემცირება (მინიმალური ბრუტომასა).
გარდა ზემოთ მოყვანილი ანალიზისა,
გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც:
ცნობილია, რომ მატარებლის მოძრაობის სიჩქარის ზრდით ლოკომოტივის რელსთან შეჭიდების ძალა მცირდება, ხოლო მოძრაობის წინააღმდეგობა იზრ-
დება, ამიტომ, სასურველი სიჩქარის

რეალიზებისათვის, გარდა ზემოთ მოყვანილი შეზღუდვებისა, აუცილებელია დაცული იქნეს შემდეგი პირობა: ლოკომოტივის რელ-სთან შეჭიდების ძალა ($F_{\text{შჯ}}$) ტოლი ან მეტი უნდა იყოს



ნახ. 2.3. მატარებლის მოძრაობის წინააღმდეგობისა და ლოკომოტივის რელ-სთან შეჭიდების ძალის დამოკიდებულება მოძრაობის სიჩქარეზე

მოძრაობის (უპ. ყოვლისა პაერის) წინააღმდეგობის ძალაზე ($W_{\text{წინ}}$). დამოკიდებულება ამ ორ

პარამეტრებს შო-

რის, მატარებელთა მოძრაობის სიჩქარის მიხედვით, ნაწ-

ვენებია 2.3 ნახ-ზე. იმის გამო, რომ ჩვენ პირობებში არ-სებულ ლოკომოტივებსა და ელექტრომატარებელებს ჯერ-ჯერობით აქვთ დაბალი კონსტრუქციული სიჩქარეები ($v \leq 160$ კმ/სთ), ამიტომ

მათ მაგალითზე აღნი-შნული პარამეტრების გათვლას აზრი არ ექნებოდა, რადგანაც ყველა შემთხვევაში მიღებული სარეალი-ზაციო სიჩქარე იქნებოდა 160 კმ/სთ-ის ტოლი ან ნაკლები. აქედან გამომდინარე 2.3 ნახ-ზე მოყვანილი დამოკიდებულება ატარებს პრინციპულ ხასიათს და რეალური გათვლების დროს საჭირო იქნება ამ პირობის დაცვა.

2.3. გაგონის ტარის შემცირება, როგორც სამგზავრო მატარებლის ბრუტომასის შემცირებისა და მისი ტეგადობის გაზრდის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება

ვაგონის ტარის შემცირება, გარდა ბრუტომასის შემცირებისა, გავლენას ახდენს მატარებლის მოძრაობის სიჩქარეზე, ადიდებს რკინიგზის გადაზიდვის უნარს და შესაბამისად ზრდის საფინანსო შემოსავლებს. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში (იაპონია, საფრანგეთი, გერმანია, აშშ, იტალია, რუსეთი, შვეიცარია და სხვ.) აღ-ნიშნული საკითხი წყდება სხვადასხვაგარად. საერთო ამ გადაწყვეტაში არის მსუბუქი და მაღალი სიმტკიცის შენადნობების გამოყენება ვაგონომშენებლობაში, ვაგონის კონსტრუქციის მოდერნიზაცია. თანამედროვე სამ-გზავრო ვაგონის ძარის მაღალი საექსპლუატაციო თვი-სებები უკ. ყოვლისა გამომდინარეობს მის კონსტრუქციაში ალუმინის სხვადასხვა შენადნობის გამოყენებით.

ალუმინის შენადნობს აქვს დაახლოებით 3-ჯერ ნაკლები წონა, ვიდრე ფოლადს. ამავე დროს ტემპერატურული ცვალებადობისას ალუმინის შენადნობი ინარჩუნებს თავის ფიზიკურ თვისებებს; ადვილია მისი დაშტამპვა და დაწესება, რაც საშუალებას იძლევა მინიმუმამდე შემცირდეს შესადუდებელი სამუშაოები. გარდა ალუმინის შენადნობისა, ვაგონის ტარის შემცირებაში დიდ როლს თამაშობს პოლიმერული¹ მასალების გამოყენება. ფიზი-

1 – პოლიმერები - 1. ნივთიერებანი, რომელთაც ერთნაირი ქიმიური

შემადგენლობა აქვთ, მაგრამ განსხვავდებიან მოლეკულაში ატ-

ომების სხვადასხვა რაოდენობით; 2. იაფი ქიმიური ნარჩენები-

საგან დამზადებული ფურცლოვანი ფორმის მასალა.

კური თვისებებით პოლიმერული მასალები შეიძლება დაგყოთ ხისტად, პლასტიკურად, ნახევრადხისტად, რბილად და ელასტიკურად. ყველა აღნიშნული სახეობა ვაგონის კონსტრუქციაში გამოიყენება დასამზადებელი დეტალების, კვანძებისა და ვაგონის სხვადასხვა ნაწილის საექსპლუატაციო მახასიათებლებისაგან დამოკიდებულებით.

პოლიმერების გამოყენების დროს ლითონთან შედარებით, 3-6-ჯერ მცირდება ოპერაციების შრომატევადობა და 2-3-ჯერ – დანადგარებსა და მექანიზმებზე მოთხოვნა. პოლიმერების კუთრი წონა კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე ფოლადისა და

ალუმინის შენადნობებისა (6-ჯერ ნაკლები ფოლადთან და 3-ჯერ ნაკლები ალუმინითან შედარებით). აღსანიშნავია პოლიმერული მასალების კიდევ ერთი დადებითი თვისება, რაც გამოიხატება მათ მაღალ ანტიკოროზიულობასა და თბომედეგობაში. გარდა აღნიშნული თვისებებისა, პოლიმერები არ საჭიროებენ შედებვას. თავიანთი ბუნებრივი ფორმით ვაგონის შიგა სალონის აღჭურვისას, ისინი ამაღლებენ ვაგონის ესთეტიკურ დონეს. ალუმინის შენადნობებითა და პოლიმერული მასალებით ვაგონის აგება ჯდება შედარებით იაფი, ვიდრე მთლიანლითონისა. ამ მასალების გამოყენება ამცირებს ვაგონის ტარაწონას 8-10 ტ-ით. დღევანდელ პირობებში ვაგონის კონსტრუქციაში ლითონის (ფოლადის) გამოყენება მინიმუმამდეა დაყვანილი. ფოლადით მზადდება მხოლოდ ის კვანძები და ვაგონის ცალკეული ნაწილები, სადაც ვაგონის დინამიკური მახას-სიათებლებიდან გამომდინარე, აუცილებელია მაღალი სიმტკიცე და ვიბრომედეგობა.

ძირითადად ვაგონის ძარა მზადდება ალუმინის ფურცლებისაგან (გამოიყენება სხვა მსუბუქი შენადნობებიც), ჩარჩოები – დაბალლეგირებული¹ ფოლადისაგან; ვაგონის გარე აღჭურვილობა (კარები, ფანჯრის ჩარჩო და სხვ.) მზადდება მინაპლასტიკატისაგან. ვაგონის შიგა აღჭურვილობაში მაქსიმალურად იყენებენ პოლიმერულ მასალებს. აღნიშნულთან ერთად დიდი

ყურადღება ეთ-მობა უსაფრთხოების ხარისხის
ამაღლებას. მაგალითად, რუსეთის ჩქაროსნულ
მატარებელში “სოკოლი”, მგზავრთა უსაფრთხოების
ხარისხის ამაღლების მიზნით ძარის ბოლოებში
გათვალისწინებულია ე.წ. სამსხვერპლო ნაწილები,
რაც გულისხმობს შემდეგს: ტამბურის რაიონში
ძარის სახურავს, იატაკსა და კედლებს სპეციალუ-
რად აქვთ დაბალი სიმტკიცე, რათა ავარიულ სიტუა-
ციაში (მექანიკური ზემოქმედების დროს)
“სამსხვერპლო ნაწილებმა” უფრო იოლად მიიღონ
დეფორმაცია და მინიჭუმამდე დავიდეს დარტყმის
ძალა მაშინ, როცა სალონში თითქმის უცვლელი
იქნება გეომეტრიული კონფიგურაცია. შედეგად უნდა
შემცირდეს მგზავრთა ტრავმატიზმის დონე. ვაგონის
ტარის შემცირების მიზნით განსაკუთრებული
ყურადღება ექცევა ვაგონის ურიკის კონსტრუქციას.
გარდა საერთო მასის შემცირებისა, მისმა
კონსტრუქციამ უნდა უზრუნველყოს ოპტიმალური
დინამიკურობა და რყევების ჩაქრობა. პლასტმასის
სამუხრუჭო ხუნდის გამოყენებამ ექსპლუატაციიდან
გამოდევნა თუჯის ხუნდი. პლასტმასის ხუნდების
წონა ერთ სამგზავრო ვაგონზე შეადგენს 52 კგ-ს,
ხოლო თუჯის ხუნდებისა – 232, ე.ი. ერთი ვაგონის
ტარა ამ შემთხვევაში შემცირდა $232-52=180$ კგ-ით,
10 ვაგონიანი შემადგე-

1 – ლეგირება - რაიმე ლითონში სხვა ლითონის შეყვანა,
შერევა

გარკვეული ქიმიური შემადგენლობისა და თვისებების
მქონე შენადნობის მისაღებად.

ნლობისათვის ეს სიღიდე იქნება 1,8 ტ, 15 გაგონიანი-
სათვის – 2,7 ტ და 20 გაგონიანი
შემადგენლობისათვის კი 3,6 ტ.

როგორც უპვე აღვნიშნეთ, გაგონის ტარაწონის
შემცირება უკ. ყოვლისა გავლენას ახდენს
მატარებლის მოძრაობის სიჩქარეზე (მატარებლის
საერთო ბრუტო-მასის შემცირება), გამტარობისა და
გადაზიდვის უნარ-ზე. მატარებლის მოცემული
ბრუტომასის (Q), ერთი გა-გონის
დასახლებულობისა (a_0) და მატარებელში m გა-
გონთა რიცხვის პირობებში, გაგონის ბრუტომასა
საგ-რძნობ გავლენას ახდენს მატარებლის
დასახლებულობაზე (ტევადობაზე). გაგონის
ბრუტომასის განსაზღვრისას ($q_{\text{ბ}}$) ერთი მგზავრის
წონა თავის ხელბარგთან ერთად, ანგარიშებში
მიიღება 100 კგ, ხოლო მგზავრთა წილს გაგონის
ბრუტომასაში იღებენ 4-5%.


მატარებლის საერთო ტევადობა განისაზღვრება
ფორმულით:

$$a = a_0 m = \frac{Q a_0}{q_{\text{ბ}}}. \quad (2)$$

11)

რეალური პირობებიდან გამომდინარე, თუ
სამგზავრო გაგონის საშუალო ტევადობას
(სხვადასხვა კატეგორიის გაგონთა საშუალო

დასახლებულობის მიხედვით) მივიჩნევთ $a_0=40$ მგზავრი, ხოლო გატარებლის ბრუტომასის ცვალებადობის დიაპაზონი იქნება $Q=400-1200$ ტ, მიიღება დამოკიდებულება მატარებლის ტევადობასა და ვაგონის ბრუტომასას შორის, რომელიც ნაჩვენებია 2.4 ნახ-ზე. როგორც მოყვანილი ნახაზიდან ჩანს,



ნახ. 2.4. მატარებლის ტევადობის დამოკიდებულება
მატარებლისა და ვაგონის პრუტომასაზე

ვაგონის პრუტომასის შემცირებით 30-35 ტ-მდე,
თუნდაც მცირეწონიანი მატარებლის პირობებში (400
ტ), მისი ტევადობა უტოლდება 800 ტ-იანი
მატარებლის ტევა-დობას.

ამრიგად, ვაგონის ტარის შემცირებით, რაც
იწვევს საერთო ჯამში მატარებლის პრუტომასის
შემცირებას, შესაძლებელი ხდება ან გავზარდოთ
მოძრაობის სიჩქარე (მატარებლის მასის შემცირების
სარჯზე ერთი და იმავე ტევადობის პირობებში), ან
გამოვიყენოთ უფრო მცირე სიმძლავრის
ლოკომოტივი და შესაბამისად მივიღოთ
ელექტროენერგიის (საობობის) ეკონომია. თუ მატა-
რებლის საშუალო წონად მივიჩნევთ 800 ტ-ს, ამ შემ-
თხვევაში ერთი ვაგონის ტარის შემცირებით 20-25
ტ-ით, მატარებლის ტევადობა იზრდება საშუალოდ
300-400 მგზავრით.

3. ლიადაგის მქანლუატაცია ჩქაროსნული მოძრაობის პირობები

3.1. ზოგადი მოთხოვნები

ჩქაროსნული მოძრაობის მაგისტრალის მშენებლობისას ლიანდაგის ზედნაშენს აგებენ ჩვეულებრივად მიწის გრუნტზე, ხოლო დასახლებული პუნქტის საზღვრებში უპირატესობას ანიჭებენ ესტაკადასა და გზაგამ-ტარს. მდინარის გადაკვეთისას და სხვა მსგავს ადგილზე აგებენ რკინაბეტონის ხიდს, ხოლო მთის პირობებში – გვირაბს, ვიადუკს, საყრდენ კედელსა და სხვ. რადგან ჩქაროსნული მოძრაობის დროს ფაქტიურად მრუდე უბნის რადიუსები ძალიან დიდია (დადგენილი ნორმებით), ფიქსირებული სიჩქარის

სარეალიზაციოდ ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება დამატებითი ხელო-ვნური ნაგებობის ექსპლუატაცია, წაყენებული მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით. ახალი მაგისტრალის ტრასის შერჩევისას მაქსიმალურად ცდილობენ, რომ მან გაიაროს დასახლებული პუნქტის გარეთ, შემოსავლელი გზით.

ჩქაროსნული მოძრაობის პირობებში რკინიგზის ლი-ანდაგის სტაბილური მუშაობა გადამწყვეტია მაღალი სიჩქარის განსახორციელებლად. ამ დროს ლიანდაგი ასრულებს არა მარტო მასზე დაკისრებულ ფუნქციას – გაატაროს მატარებელი დადგენილი მასითა და სიჩქარით, არამედ მაღალი სიჩქარის პირობებში უზრუნველყოს გადაზიდვითი პროცესის საექსპლუატაციო საიმე-დოობაც. როგორც ცნობილია, რკინიგზის სალიანდაგო მეურნეობას მიეკუთვნება თვითონ ლიანდაგი თავისი ინფრასტრუქტურით – სხვადასხვა სახის ტექნიკური ნაგებობითა და მოწყობილობით. მათი საშუალებით შესაძლებელია ლიანდაგის შეუფერხებელი, უწყვეტი მუშაობა წლის ყველა დროს, დღისით და დამით. ჩქაროსნული მოძრაობის პირობებში რკინიგზის ლიანდაგი მუდამ გამართულ მდგომარეობაში უნდა იყოს, დაუშენებელია მცირეოდენი დარღვევა ან ნორმიდან გა-დახრაც კი (რაც შესაძლებელია ჩვეულებრივ პირობებში) უსაფრთხოების მაღალი დონის შესანარჩუნებლად. დებულობს რა უშუალოდ დიდ დატვირთვას თავის თავზე მოძრავი შემადგენლობისაგან, რკინიგზის ლიანდაგმა

სიმტკიცით, მდგრადობით, უნდა უზრუნველყოს არა მარტო ჩქაროსნული სამგზავრო გადაზიდვა დადგენილი სიჩქარით, არამედ უნდა ჰქონდეს აუცილებელი რეზერვი მოძრაობის სიჩქარის ზრდის შემთხვევაშიც. ვიბრაცია და დინამიკური დატვირთა, წარმოქმნილი მატარებლის მოძრაობისას, იზრდება სიჩქარის პირდაპირპროპორციულად. აქედან გამომდინარე, მოძრაობა 200 კმ/სთ და მეტი სიჩქარით, შესაძლებელია მხოლოდ ვიბრაციისა და დინამიკური დატვირთვის შემსუბუქებით, ანუ ეს პარამეტრები არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ ნორმას. თანამედროვე ჩქაროსნული რკინიგზის ექსპლუატაციაში გამოყენებულია რელსის ორიგინალური კონსტრუქციის სამაგრი, რომლის საშუალებითაც მინიჭებამდეა დაყგანილი ვიბრაცია და მექანიკური დატვირთვა.

ძველი კონსტრუქციის რკინიგზაზე (ტრადიციული), ლიანდაგი დაკომპლექტებული იყო მოკლე, სტანდარტული რელსების (სიგრძე 25 მ) ერთობლიობით, შემაერთოებული სარელსო სამაგრით, რის გამოც ხშირი იყო დარღვევები სარელსო პირაპირებში რელსის ცვეთის გამო. ჩქაროსნული მოძრაობისას ძირითადად გამოყენებულია უპირაპირო რელსი, რომლის სიგრძეც 800 მ-ია. ასეთი რელსი უზრუნველყოფს თვლების თანაბარ მოძრაობას. 200 კმ/სთ და მეტი სიჩქარით სტაბილური მოძრაობის უზრუნველყოფად, რკინიგზის ლიანდაგის

პარამეტრები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ ნო-რმებს, რომელშიც დაშვებები გათვლილია მილიმეტრების სიზუსტით. პირდაპირ მონაკვეთზე რკინიგზას არ უნდა ჰქონდეს რაიმე გადახრა, ხოლო მრუდში ზუსტად უნდა იყოს დაცული მრუდის მნიშვნელობები. ასეთი სიზუსტე აუცილებელია არა მარტო ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობისას, არამედ ექსპლუატაციის პერიოდშიც. ექსპლუატაციის საწყის ეტაპზე ადგილი აქვს რკინიგზის ლიანდაგის არათანაბარ დაწვას, გამოწვეულს გრუნტის შემჭიდროების გამო. ამიტომ საბა-ლასტე მასალად გამოყენებული უნდა იქნეს მაღალი სიმტკიცისა და მდგრადობის მინარევები, რომლებიც უზრუნველყოფს ლიანდაგის სიმტკიცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ლიანდაგი უნდა დაიგოს რკინა-ბეტონის საყრდენზე.

მოძრაობის სიჩქარის მატებასთან ერთად მრუდე უბ-ნებში ადგილი აქვს ცენტრიდანული ძალის მოქმედების ზრდას, რომლის გასანეიტრალებლადაც იყენებენ სხვა-დასხვა სახის მექანიზმსა და მოწყობილობას ვაგონის კონსტრუქციაში. ჩქაროსნული მოძრაობისათვის იდეა-ლური ვარიანტია ტრასის მოწყობა სწორ უბანზე. მრუდე უბნის არსებობის შემთხვევაში ტრასის შერჩევა ხდება ყველა ფაქტორის გათვალისწინებით (გარდამავალი მრუდების შეერთება, გარე რელსის შემაღლება და სხვ.).

მაღალი სიჩქარით მოძრაობისას აუცილებელია გა-ზრდილი იყოს დამუხრუჭების დადგენილი ნორმა. ყველა შემთხვევაში თავიდან უნდა იქნეს აცილებული რაიმე საგნის ან ობიექტის დაუგეგმავი მოხვედრა ჩქაროსნულ მაგისტრალზე. ამ მიზნით მასზე ლიანდაგის გასწვრივ გრძივად, ორივე მხრიდან, აგებენ დამცავ დობეს, გადა-მდობ კედელს, გზაგამტარს ადამიანებისა და ცხოველებისათვის და სხვ.

3.2. ჩქაროსნულ მაგისტრალზე ლიანდაგის მიმართ წაყენებული მოთხოვნები

ჩქაროსნული სარკინიგზო მაგისტრალის უმთავრეს ელემენტს რკინიგზის ლიანდაგის ზედნაშენი წარმოა-დგენს. მასში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი რელსს უჭირავს. ჩქაროსნული მაგისტრალის რელსმა უნდა უზრუნველყოს:

- ვერტიკალური დატვირთვის ეფექტური გადანაწილება შპალზე, რაც შესაძლებელს ხდის შემცირდეს გზის დეფორმაცია და შესაბამისად შეკეთებისათვის საჭირო ხარჯები;
- საჭირო სიმტკიცე, ცვეთამედეგობა, ხანგამძლეობა და დრეკადობა;
- სიმტკიცის მაღალი ხარისხი და უპირაპირო რელსის დამზადებისას შედუღების პროცესის

ეფექტურად წარმართვა ქიმიურ შემადგენლობაში მანგანუმის შემცველობის გაზრდით.

რელსის სიმძლავრე (რელსის 1 გრძივი მეტრის წონა) არის რკინიგზის ზედნაშენის განმსაზღვრელი, რომლის მიხედვითაც ისაზღვრება სხვა ელემენტები. ჩქა-როსნული მაგისტრალის რელსის სიმძლავრეს ადგენენ მოძრავი შემადგენლობის დერძზე მოსული დინამიკური დატვირთვის, მაქსიმალური მგზავრნაკადისა და მატარებლის მოძრაობის სიჩქარისაგან დამოკიდებულებით¹:

$$q_{\text{r}} = a \left(1 + \sqrt[4]{A_{\text{წლ}}^{\frac{3}{4}}} \right) \sqrt{[(1 + 0,012v_{\text{ავ}}) \cdot A_{\text{წლ}}^{\frac{3}{4}}]^2} \quad (3.1)$$

სადაც a არის რიცხობრივი კოეფიციენტი. $a=1,2$ ვაგონ-

ნისათვის, $a=1,13$ ლოკომოტივისათვის;

$A_{\text{წლ}}^{\frac{3}{4}}$ - წლიური მაქსიმალური მგზავრბრუნვა,

მლნ.

მგზავრი;

$v_{\text{ავ}}^{\frac{3}{4}}$ - მატარებლის მოძრაობის მაქსიმალური

სიჩ-

არე, კმ/სთ.

მოყვანილი ფორმულით დგინდება, რომ როცა

$v_{\text{ავ}}^{\frac{3}{4}} =$

=110-155 კმ/სთ, რელსის მარკა უნდა იყოს რ-50; როცა

$v_{\text{აჯ}}=140-195$ კმ/სთ, მაშინ საჭიროა რ-65 მარკის რელსი და როცა $v_{\text{აჯ}}=200$ კმ/სთ-ზე მეტი, მაშინ იყენებენ რ-75 მარკის რელსს. ყველა შემთხვევაში ჩქაროსნული მა-გისტრალის ლიანდაგის ზედნაშენის კონსტრუქცია უნდა იყოს გაძლიერებული ცალკეული ელემენტის მიხედვით (შპალი, ღორღი და სხვ.). როგორც წესი ამ დროს ლიანდაგი აღჭურვილია უპირაპირო რელსით.

1 – (3.1) ფორმულა გათვალისწინებულია რელსის სიმძლავრის გა-
ნსასაზღვრავად რკინიგზაზე გატარებული ტონაჟის
მიხედვით
(მლნ.ტ.ბრუტო), მაგრამ მისი გამოყენება შესაძლებელია
რელ-
სის სიმძლავრის დადგენისათვის ჩქაროსნული მოძრაობის
გა-
გისტრალზეც.


ჩქაროსნული მოძრაობის რკინიგზაზე აუცილებელია ისრული გადამყვანის გაძლიერებული კონსტრუქცია, რათა უსაფრთხო იყოს მაღალი სიჩქარის განხორციელება. ინტენსიური კვლევების საფუძველზე შეიქმნა პრინციპული ახალი ტიპის ისრული გადამყვანი მოძრავი გულარით, რამაც გამორიცხა “მავნე სივრცის” არსებობა ისრის კონსტრუქციაში (ნახ. 3.1). აღნიშნული კონსტრუქციის ისრული გადამყვანი საშუალებას იძლევა (უპირაპირო რელსთან ერთან), მთლიანად გამოირიცხოს გრძივი და განივი ცენტრიდანული

ძალებით გამოწვეული ბიძგები მოძრაობის მაღალი სიჩქარის დროს, რასაც ადგილი აქვს ჩვეულებრივ რკინიგზაზე. ახალი ტიპის ისრული გადამყვანის კონსტრუქციაში, ჯვარედინის მოძრავი გულარი უზრუნველყოფს მის მჭიდრო მიბრჯენას ჯვარედინის ულვაშთან. ისრული გადამყვანის ასეთი კონსტრუქცია არის გარანტი მაღალი სიჩქარის უსაფრთხო განხორციელებისა.

თანამედროვე ჩქაროსნულ რკინიგზაზე, რკინაბეტონის შპალზე რელსი მაგრდება “ორმაგი დრეკადი” სამა-გრით. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია რელსის სამა-გრის მთლიანი კონსტრუქცია. შპალის ზედაპირზე, რელსის ძირის ქვეშ, თავსდება რეზინის ქვესადები და ორუ-

ლემენტიანი ზამბარა, რომელიც მაგრდება შპალზე ჭანჭიკით. ამ დროს რელსი ეყრდნობა ელასტიურ ქვესა-დებს და დამაგრებულია ჭანჭიკით დაჭერილი ზამბა-რიანი სამაგრით. ასეთი კონსტრუქციისათვის დამახა-სიათებელია მატარებლის დიდი სიჩქარით მოძრაობისას წარმოქმნილი ვიბრაციის განეიტრალება.

ჩქაროსნულ რკინიგზაზე ბალასტის ფენა ემსახურება



ნახ. 3.1. ისრული გადამყვანის ჯვარედინი მოძრავი გულარით

სალიანდაგო რგოლის (გისოსის) დაბრჯენას. მისი დანიშნულებაა მიიღოს თავის თავზე შპალიდან გადმოცემული დატვირთვა და თანაბრად გაანაწილოს იგი მიწის ვაკისის ძირითად მოედანზე. ბალასტის ფენამ უნდა უზრუნველყოს შპალების მდგრადობა ვერტიკალური და ჰორიზონტალური ძალებისაგან, რელსისქვეშა საფუძვლის დრეკადობა და ზედაპირული წყლების მო-შორება.

მრუდე უბანში აუცილებელია გარე რელსი იყოს შემაღლებული შიდასთან შედარებით, მატარებლის მოძრაობისას მრუდში წარმოშობილი ცენტრიდანული ძალის შემცირების მიზნით. ჩვეულებრივ პირობებში გარე რელსის შემაღლება ხდება იმ შემთხვევაში, როცა მრუდის რადიუსი

4000 მ-ზე ნაკლებია, ხოლო რკინიგზის ჩქაროსნულ მაგისტრალებზე – ყველა შემთხვევაში, მრუდე უბნის რადიუსის ნებისმიერი მნიშვნელობის დროს. გარე რელსის შემაღლებით მატარებლის მაღალი სიჩქარით მოძრაობისას, არ იქმნება მგზავრისათვის დი-სკომფორტი მრუდე უბნის გავლისას და მოძრავ შემა-დგენტლობაზე სხვადასხვა ძალის მოქმედების დროს უზრუნველყოფილია მატარებლის სტაბილური სვლა.

3.3. ჩქაროსნული მატარებლის მოძრაობის პირობები მრუდე უბნებში და უპირაპირო რელსის ექსპლუატაცია ტემპერატურის ცვალებადობის დროს


სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარის ამა-დლების შემზღვდავ ფაქტორად მიჩნეულია რკინიგზის მრუდე უბანი. აქ მატარებლის მოძრაობის დროს წარ-მოიქმნება ცენტრიდანული ძალები, რომლებიც არ იძლევიან საშუალებას უზრუნველყოფილ იქნეს რკინიგზის სწორ უბანზე რეალიზებული სიჩქარე. ამასთან, და-ბლდება მგზავრობის კომფორტულობის დონე. დადგენი-ლია, რომ სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარე რკინიგზის მრუდე უბანზე მგზავრობის კომფორტულობის პირობის აუცილებელი დაცვით, არ უნდა აღემა-ტებოდეს სიდიდეს:

$$v = 3,98\sqrt{R},$$

(3.2)

სადაც R არის მრუდე უბნის რადიუსი, მ.

3.2 ნახ-ზე ნაჩვენებია მატარებლის მოძრაობის სიჩქარის დამოკიდებულება მრუდის რადიუსზე. როგორც ნახაზიდან ჩანს, მატარებლის 100 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობის დროს, მრუდის რადიუსი R , უნდა იყოს არანაკლებ 633 მ-ისა . როცა მატარებლის სიჩქარეა $v=150 \text{ კმ/სთ}$, $R \geq 1424 \text{ მ}$; $v=200 \text{ კმ/სთ}$ – $R \geq 2525 \text{ მ}$ და $v=250 \text{ კმ/სთ}$ – $R \geq 3955 \text{ მ}$.



ნახ. 3.2. მატარებლის მოძრაობის სიჩქარის დამოკიდებულება მრუდის რადიუსზე

რკინიგზის მოქმედ საზებზე მრუდე უბნის წილი საკმაოდ დიდია, მათ შორის შესაძლებელია უმრავლესობა იყოს 2000 მ-ზე ნაკლები. აქედან გამომდინარე, თუ მოქმედ რკინიგზის საზეზე გადაწყდება



ჩქაროსნული მოძრაობის განხორციელება, აუცილებელი იქნება არსებული მრუდე უბნების აბსოლუტური უმრავლესობის შემსუბუქება ანუ მათი ადგილმდებარეობის შეცვლა მრუდის რადიუსის გაზრდის მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება მოძრაობის მაღალი სიჩქარის რეალიზება.

როგორც აღვნიშნეთ, უპირაპირო რელსის გამოყენება არის რკინიგზის ლიანდაგის ფუნქციონირების ყველაზე უფრო პროგრესული და სრულყოფილი საშუალება. ამ დროს სტანდარტული რელსის პირაპირების არარსებობით მცირდება ლიანდაგზე მოქმედი დინამიკური ძალები, მოძრავი შემადგენლობის გოგორწყვილების ცვეთა და მატარებლის მოძრაობის წინააღმდეგობა, რაც თავის მხრივ ამცირებს მატარებლის მოძრაობისათვის საჭირო სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯს. გარდა აღნიშნულისა, პირაპირებში გამონთავისუფლებული ზესადებების ხარჯზე, ადგილი აქვს ლითონის ეკონომიას – 1,8 ტ ერთ კილომეტრზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, უპირაპირო რელსის ექსპლუატაციას აქვს თავისი უარყოფითი მხარეები. ერთ-ერთი მათგანია მუშაობის ტექნოლოგიის გართულება სეზონური ტემპერატურული ცვალებადობის დროს. იმ დროს, როდესაც ადგილი აქვს ტემპერატურული რეჟიმის უმნიშვნელო ცვლილებას, რელსის სიგრძეს იდებენ იმ ტემპერატურული რეჟიმისათვის, რომლის წილიც წლის

განმავლობაში მეტია. ამ შემთხვევაში რელსის დამოკლების (დაბალი ტემპერატურის დროს) პირობებში, პირაპირის ღრებოში ათავსებენ შუასადებს, ხოლო დაგრძელებისას – შუასადებს იდებენ პირაპირიდან. ეს ხდება წელიწადში ორჯერ, თითოეული სეზონის (ზამთრის, ზაფხულის) დაწყების წინ. ისეთ კლიმატურ პირობებში, სადაც ტემპერატურული რეჟიმი ხასიათდება ცვალებადობის დიდი დიაპაზონით, იძულებული არიან შუასადების ნაცვლად გამოიყენონ სხვადასხვა სიგრძის (ტემპერატურული რეჟიმის შესაბამისად) გამათანაბრებელი რელსი. ეს პროცესიც ხორციელდება წელიწადში ორჯერ. საერთო ჯამში აღნიშნული გარემოებები ადაბლებს უპირაპირო რელსის ექსპლუატაციის ხარისხს.

ამ ფონზე საინტერესოა იაპონელ მეცნიერთა მიღწევა, რომლებმაც შექმნეს გამათანაბრებელი რელსის ორიგინალური კონსტრუქცია (ნახ. 3.3). როგორც 3.3 ნახაზიდან ჩანს, ასეთი კონსტრუქციის



ნახ. 3.3. უპირაპირო რელსის შეერთების იაპონური ვარიანტი.
ა) გამათანასწორებელი კონსტრუქცია ზოგადი სახით; ბ) კონსტრუქციის კინემატიკური სქემა. 1 - შედუღებითი შეერთება უპირაპირო რელსა და გამათანასწორებელი კონსტრუქციის ელემენტს; 2 - უპირაპირო რელსი; 3 - სარელსო ძაფის გრძივად მოძრავი ულვაში; 4 - გამათანასწორებელი კონსტრუქციის ჩანართი; 5 - იზოლირებული შეერთება

პირობებში უკვე საჭირო ადარ არის გამათანაბრებელი რელსის ცვლა. უპირაპირო რელსის დამაბოლოებელი სარელსო ძაფის გრძივად მოძრავი ულვაშები და გამათანასწორებელი კონსტრუქციის ჩანართი, თავიანთი კონსტრუქციული გადაწყვეტით, საშუალებას იძლევიან ტემპერატურის ნებისმიერი ცვალებადობის პირობებში, ერთმანეთს შეეწვნან ისეთნაირად, რომ არ დაირღვეს უპირაპირო რელსის მთლიანობა და საჭირო არ გახდეს გამათანასწორებელი ჩანართის შეცვლა.

3.4. ლიანდაგის მოწყობის თავისებურებანი მიწის გაგისზე, ესტაკადასა და გვირაბში

თანამედროვე სარკინიგზო ჩქაროსნული მოძრაობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა სარკინიგზო ლიანდაგის მოწყობა ჩქაროსნულ მაგისტრალზე. აქ უპ. ყოვლისა იგულისხმება ლიანდაგის მდგრადობა, სტაბილურობა და საექსპლუატაციო სამედოობა მაგისტრალის ნებისმიერ მონაკვეთზე ანუ ჩვეულებრივ გრუნტზე და ხელოვნურ ნაგებობაზე.

ჩვეულებრივ გრუნტზე რკინიგზის ლიანდაგის განლაგება ჩქაროსნული მოძრაობისას, მოითხოვს სპეციალური პირობების დაცვას. კერძოდ, მინიმალური უნდა იყოს ყრილებისა და ჭრილების რაოდენობა. რადგან პრაქტიკაში იდეალური ზედაპირით (ნულოვანი ქანობი) ტრასა არ გვხვდება (თითქმის არ გვხვდება), ყრილის შემთხვევაში სმარობენ განსაკუთრებული თვისების მქონე ბალასტს, რომელსაც აქვს მდგრადობის, დრეკადობისა და აბსორბციის (წყლის შთანთქმა) დიდი უნარი. ამ დროს საბალასტე მასალა უნდა იყოს განსაკუთრებული შემცველობის, რაშიც იგულისხმება მისი თვისება არ იქონიოს მასზე გავლენა მეტეოროლოგიურმა და კლიმატურმა პირობებმა; მდგრადობის მიზნით უნდა იყოს დიდი ნატეხობის, გამოირჩეოდეს დაყრის სიმჭიდროვითა და ფორიანობით. ასეთ ბალასტზე

განლაგებული რკინიგზის ლიანდაგი, ჩქაროსნული რკინიგზისათვის განკუთვნილი შპალის პირობებში, მისი მოვლა-შენახვის დადგენილი ნორმების მკაცრად დაცვისას, უზრუნველყოფს რკინიგზის ნორმალურ მუშაობას მინიმუმ 3 წლის განმავლობაში. იქ სადაც ნიადაგის ზედაპირი გამოირჩევა დადგენილი ნორმებიდან გადახრის დიდი პროცენტით (სირბილე, ტკეპგნადობა, არამდგრადობა), იძულებული ხდებიან ნიადაგის ზედაპირი გაამაგრონ დამ-ხმარე საშუალებებით, როგორიცაა ხიმინჯი, რკინა-ბეტონის კონსტრუქცია, ქვითა და სხვა მყარი მასა-ლით დაფარვა და სხვა. თუ ამის შემდეგაც ლიანდაგი არ პასუხობს ჩქაროსნული მოძრაობისათვის დადგენილ ნორმებს, შპალის ნაცვლად იყენებენ რკინა-ბეტონის ფილას ან რკინა-ბეტონის მცირება-ბარიტიან ჩარჩოს.

ჩქაროსნული რკინიგზის მოწყობის ნორმებს წაეყენება შემდეგი მოთხოვნები:

- რკინიგზის ლიანდაგის აბსოლუტური სიმტკიცე, რათა ადგილი არ ჰქონდეს მცირე დაწევასაც (დეფორმაცია) კი;

- ყრილის ფერდოების მედეგობა წვიმისა და თოვლის ზემოქმედებაზე;

- რკინიგზის ლიანდაგის საფუძვლის საიმედო გამაგრება (მიწის ვაკისის ძირითადი მოედნისათვის სპეციალური გრუნტის გამოყენება).

რკინიგზის ყრილის აგებისას აუცილებელია განისაზღვროს გრუნტის ვარგისობის ხარისხი და შეირჩეს მეთოდი მდგრადობის საჭირო დონის მისა-


დწევად. საერთოდ, მიწის საფარის მნიშვნელოვანი დაწევა ხდება პირველი წლის განმავლობაში, ხოლო შემდგომ სამ წელიწადში დაწევის ინტენსიურობა მცირდება. ამის გამო სასურველია მიწის გაკისის დამუშავება (გამაგრება, დაჯდომა, საცდელი მატარებლების გატარება და სხვ.) დაიწყოს მაგისტრალის ექსპლუატაციაში შესვლამდე, რათა ფუნქციონირების დაწყებისას მიწის საფარის დაწევის პროცენტი იყოს დაბალი; თუმცა მშენებლობის პროცესში ყოველთვის ვერ ხერხდება აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება და ამის გამო პრაქტიკაში მიწის საფარის დაწევის ტენდენცია საკმაოდ დიდია. ამ მოვლენის გამო ხშირად ადგილი აქვს გზის დეფორმაციას, რომლის აღმოსაფხვრელად საჭიროა დამატებითი სამუშაოები (ხარჯები).

ჩქაროსნულ მაგისტრალზე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მიწის ვაკისის ფერდოების დაცვას ჩამორეცხვისაგან თოვლისა და წვიმის დროს. ამ მიზნით მიწის ვაკისის აგებისას წარმოებს მისი ფერდოს ფენა-ფენა გამაგრება. მიწის ზედაპირის ფუნდამენტურად გამაგრების შემდეგ, საყრდენ ზედაპირზე ეწყობა ბალასტის პრიზმა, ხოლო ამ უკანასკნელზე სარელსო რგოლები. იმ ადგილებში, სადაც მიწის სამუშაო აღარ არის საკმარისი, ჩქაროსნულ მაგისტრალზე პროფილის გასწორების მიზნით აშენებენ ესტაკადას.


ესტაკადაზე განლაგებულ რკინიგზის ლიანდაგის საყრდენად გამოყენებულია წინასწარდაბაბული

ფოლადის არმატურით დამზადებული რკინა-ბეტონის კოჭი, რომელიც უზრუნველყოფს სიმტკიცის, დრეკადობისა და სეისმურეგობის უველა პირობას. ესტაკადის საყრდენს ანუ საბაზო კონსტრუქციას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა, განსხვავებული ერთმანეთისაგან სიმაღლით, სისქით ან მალის ზომებით. აღნიშნული გარემოება არ თამაშობს გადამწყვეტ როლს ესტაკადის ექსპლუატაციაში, მთავარია ის პასუხობდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს. როგორც წესი, უმრავლეს შემთხვევაში ჩქაროსნული მაგისტრალის ესტაკადზე განლაგებულ რკინიგზის ლიანდაგს ბალასტის ფენა არ უკმოდება. ლიანდაგი მაგრდება პირდაპირ რკინა-ბეტონის საყრდენზე. 3.4, ა ნახ-ზე ნაჩვენებია ესტაკადის კონსტრუქციის ერთ-ერთი ვარიანტი (ხედებში) სათანადო ზომებით, ხოლო 3.4, ბ ნახ-ზე – საბაზო კონსტრუქციაზე (რკინა-ბეტონის კოჭებზე) რკინა-ბეტონის საყრდენის დამაგრების სქემა. უნდა აღინიშნოს, რომ რკინა-ბეტონის საყრდენის გამოყენებისას, ბალასტის პრიზმთან შედარებით, გაცილებით მაღალია ხმაურის დონე, რისი დადაბლების მიზნით ჩქაროსნული ვაგონის კონსტრუქციაში გათვალისწინებულია ხმაურჩამქრობი (ხმაურდამადაბლებელი) მოწყობილობები.


ა)




ბ)



გ)



II



ნახ. 3.4. ესტაკადისა და გვირაბში განლაგებული ჩქაროსნეული მაგისტრალის ელემენტები. ა) ესტაკადის კონსტრუქციის ერთ-ერთი ვარიანტი (ხედებში); ბ) საბაზო კონსტრუქციაზე რკინა-ბეტონის საყრდენის დამაგრების სქემა; 1 - რკინა-ბეტონის საყრდენი; 2 - ფოლადის კოჭი; გ) გვირაბის კონსტრუქციის სქემები. I - გვირაბის პორტალის ნაწილი; 1 - გვირაბის ჭრილი; 2

- გვირაბის პორტალი; II - გვირაბის პროფილი; 1 - მოპირ-კეთება; 2 - რელსის თავის დონე; 3 - მიწის ზედაპირის დონე იმის გამო, რომ ჩქაროსნული მოძრაობის დროს, კერძოდ კი, როცა მატარებლის მოძრაობის სიჩქარე 200 კმ/სთ და მეტია, გამორიცხულია მცირე რა-დიუსის მქონე მრუდების არსებობა, აუცილებელი ხდება დიდი რადიუსის მრუდის განთავსების მიზ-ნით, მეტი და მეტი მიწის სამუშაოების წარმოება და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა. ამ უკანასკნელს ზემოთ განხილულ ესტაკადასთან ერთად უნდა მივაკუთვნოთ გვირაბიც. ნიშანდობლივია, რომ გვირაბის ექსპლუატაცია ჩქაროსნული მოძრაობის პირობებში არის ურთულესი ტექნიკური პრობლემა, რომლის განსახორციელებლად მრავალი ამოცანის გადაჭრა ხდება აუცილებელი მეცნიერების სხვადა-სხვა სფეროდან. პირველი და უმთავრესი ამ პრო-ბლემის გადაჭრაში არის ჰაერის გადიდებული წნევის ზემოქმედება მატარებელზე მისი მაღალი სი-ჩქარით მოძრაობის დროს. აღნიშნულმა გარემოებამ რომ არ იქონიოს მგზავრზე უარყოფითი რეაქცია (გარე და შიგა წნევის ცვალებადობა), აუცილებე-ლია გვირაბში მოძრაობის დროს მოხდეს ვაგონის სალონის ნაწილობრივი პერმეტიზაცია იძულებითი ვენტილაციის საშუალებით. მართალია ამ დროს სალონში ადარ არის ჰაერის წნევის ის დონე, რაც წვეულებრივ პირობებში, მაგრამ გარედან მოქმედი ჰაერის წნევა, რომელიც ნაწილობრივ მაინც ატანს ვაგონის სალონში, კომპენსაციას უწევს ამ სიტუ-აციას. აღსანიშნავია ისიც, რომ გვირაბში მატარე-

ბლის შესვლისა და გამოსვლის დროს მძლავრი პაკისტანის ტალიდა ვრცელდება მიმდებარე ტერიტორიაზე და აისახება შენობა-ნაგებობებზე ვიბრაციის გამოწვევით. ამ მოვლენის თავიდან აცილების მიზნით, ჩეროსნულ მაგისტრალზე განლაგებულ გვირაბში, შესასვლელსა და გამოსასვლელში აწყობენ ჭრილის ირგვლივ სპეციალურ პორტალს, ხოლო ტალღის ძალის შემცირებისათვის (მატარებლის გვირაბში შესვლა-გამოსვლის დროს), გვირაბის ყელს აგებენ გადიდებული ზომებით.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ლიანდაგის მოწყობის თავისებურებების გათვალისწინება მიწის ვაკისზე, ესტაკადასა და გვირაბში, საფუძველია უსაფრთხო ჩეროსნული მოძრაობის განხორციელებისა.


3.5. ჩეროსნულ სარკინიგზო მაგისტრალზე უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებები

რკინიგზის ლიანდაგის ნორმალური ფუნქციონირების მიზნით, მნიშვნელოვანია მისი მოვლა-შენახვა და შეკეთების ორგანიზაცია. მსოფლიოს ყველა ქვეყნის რკინიგზაზე მოქმედებს ლიანდაგის მოვლა-შენახვის ნორმები და ამ ნორმებიდან დასაშვები გადახრის სისტემა. გადახრის სიდიდეების მნიშვნელობა დამოკიდებულია ლიანდაგის ზედანაშენის კონსტრუქციაზე, მოძრავი შემადგენლობის

სავალი ნაწილის მდგომარეობაზე და მატარებლის მოძრაობის სიჩქარეზე. ამიტომ, ჩქაროსნულ უბანზე ლიანდაგის მოწყობისა და მოვლა-შენახვის უმთავრესი მოთხოვნაა ექსპლუატაციის დასაშვები გადახრები არ გასცდეს დადგენილ ნორმას და უზრუნველყოს მატარებლის უსაფრთხო მოძრაობა.

გარდა გეგმიური მოვლა-შენახვისა, ჩქაროსნული მაგისტრალის საექსპლუატაციო საიმედოობის აუცილებელი პირობაა, ჩვეულებრივი რკინიგზის ფუნქციონირებისაგან განსხვავებით, უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებების გატარება. ჩქაროსნული მოძრაობის მაგისტრალზე მატარებლის მოძრაობის რაიმე ხელისშემსრულებლი მიზეზის დროულად აღმოჩენის შემთხვევაშიც კი პრაქტიკულად შეუძლებელია შეჯახების თავიდან აცილება. ამიტომ, აუცილებელია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომ აღკვეთილი იყოს მსგავსი სიტუაცია. ასეთი ღონისძიებებიდან პირველს შეიძლება მივაკუთვნოთ ჩქაროსნული რკინიგზისა და სხვა გზის გადაკვეთა (მათ შორის ჩვეულებრივი რკინიგზისაც) სხვადასხვა ღონებე (ნახ. 3.5 ა). ამ შემთხვევაში გამორიცხელია ჩვეულებრივი გადასავალის მოწყობა ერთ ღონებე. მსგავსი ღონისძიება მოძრაობის უსაფრთხოების თვალსაზრისით, არის დამცავი ღობეები ჩქაროსნული მაგისტრალის გასწვრივ საცხოვრებელ პუნქტებსა და ადამიანთა თავშეეყრის აღგილებში (ნახ. 3.5 ბ). გარდა აღნიშნულისა, იმ უბნებზე, სადაც აღგილი აქვს სხვადასხვა საგნების ცვენას

ჩქაროსნულ მაგისტრალზე, ეწყობა სპეციალური შემომფარგვლელი ნაგებობები ბადეების სახით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ჩქაროსნული მაგისტრალი დაცული უნდა იქნეს გაუთვალისწინებელი ბუნებრივი მოვლენებისაგან, როგორიცაა



ნახ. 3.5. ჩქაროსნულ მაგისტრალზე მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის განხორციელებისათვის საჭირო დამატებითი დონისძიების სქემები. ა) ჩქაროსნული რკინიგზისა და სხვა კომუნიკაციის გადაკვეთა სხვადასხვა დონეზე. ბ) რკინიგზის ლია-

ნდაგის იზოლირება დამცავი მესრით; გ) ჩქაროსნული მაგისტრალის ლიანდაგის ფერდოს გამაგრება სხვადასხვა საშუალებით. 1 - რეინაბეტონის უჯრედი, შევსილი ქვის ნატეხებით (ან სხვა მსგავსი საშუალებით); 2 - რეინაბეტონის მესერი; 3 - კუვეტი; 4 - ბეტონიეს ქამარი ყრილის ბოლოზედ) ნალექის ინტენსიური მოსვლის შემთხვევაში სარეალსო წრედში იმპულსის წარმოშობის სქემა. 1 - ნალექის ინტენსიურად მოსვლა; 2 - რეინიგზის ლიანდაგი; 3 - ლიანდაგის მიმდებარევდ განთავსებული ნალექმზომი; 4 - სახომი მოწყობილობა; 5 - იმპულსის წარმომქნევლი მოწყობილობის განთავსების ადგილი; 6 - სასიგნალო მოწყობილობა; 7 - კავშირის საშუალება; 8 - ნალექის სიდიდის დაფიქსირება და სიგნალის რეგისტრაცია

წყალდიდობა, მიწისძვრა, სანძარი და ა.შ. ამ მიზნით ჩქაროსნულ მაგისტრალზე, როგორც წესი, ყოველ 200-250 მ დაშორებით, ეწყობა (დაუენებულია) სპეციალური ღილაკი, რომლის გამოყენებითაც ლიანდაგის შემოვლელს საშუალება ეძლევა უზრუნველყოს მატარებლის გაჩერება საჭიროების მიხედვით.

იმ უბნებზე, სადაც ჩქაროსნული მაგისტრალი გადის მიწის ვაკისზე, ლიანდაგის მდგრადობის მიზნით, ადგილი აქვს ლიანდაგის ფერდოს გამაგრებას სხვადასხვა საშუალებით (ნახ. 35 გ). მნიშვნელოვანია ასევე ნალექის მოსვლის ინტენსიურობა ჩქაროსნულ მაგისტრალზე. საქმე ისაა, რომ მაღალი სიჩქარის რეალიზაციის დროს, ჩვეულებრივ პირობებში დადგენილია ნალექის მოსვლის ინტენსიურობის სიდიდე (მილიმეტრებში). დადგენილი ნორმის დარღვევის შემდეგ, აუცილებელია მოხდეს კორექტირება მატარებლის მართვაში (სიჩქარის შემცირება 80-100 კმ/სთ-მდე). ჩქაროსნული მატარებლის სარეალსო წრედში გათვალისწინებულია ნორმაზე მეტი ნალექის მოსვლის დროს სპეციალური იმპულ-

სის წარმოქმნა, რომელიც გადაეცემა მემანქანის კაბინაში შემდგომი რეაგირებისათვის (ნახ. 3.5 დ).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი უსაფრთხო ჩქაროსნული მოძრაობის განხორციელებაში, არის მატარებლის მაღალი სიჩქარით მოძრაობა ზამთრის პირობებში. თოვლიან ამინდში მოძრაობის დროს ლოკომოტივის შუბლზე ადგილი აქვს თოვლის მიყინვას, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს სიჩქარის შემცირების აუცილებლობას და საბოლოო ჯამში მატარებლის დაგვიანებას. აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, ლოკომოტივის (ვაგონის) კონსტრუქციაში გათვალისწინებულია მის შუბლა ნაწილზე მაღალი ტემპერატურის შენარჩუნების მოწყობილობები (გამათბობლები), რაც გამოიცხავს ყინულის საფარის წარმოქმნას.

4. ჩქაროსული სარპინიგზო მაგისტრალის ფუნქციონირებისათვის

4.1. განსაკუთრებული პირობები ჩქაროსნული მაგისტრალის ფუნქციონირებისათვის

სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარის ამაღლების განხილვისას მხედველობაში იქნა მიღებული ის ძირი-თადი პარამეტრები და კრიტერიუმები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ მასზე. აღნიშნულთან ერთად გასა-თვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- როდესაც სამგზავრო მატარებლის სვლითი სიჩქარე 200 კმ/სთ და მეტია, არსებულ რკინიგზაზე ასეთი სიჩქარის რეალიზება სატვირთო მოძრაობასთან და ჩვეულებრივ სამგზავრო მოძრაობასთან ერთად შეუძლებელია, რადგან დიდია სატვირთო მატარებლის მოხსნის კოეფი-ციენტი. ამ შემთხვევაში ან უნდა შემცირდეს სატვირთო

მოძრაობის ზომები, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით მიუდებელია, როცა მოცემული ტვირთნაკადის ასათვისე-ბლად ექსპლუატაციაში მყოფი რკინიგზის გარდა ტრანსპორტის სხვა სახეობა არ გამოიყენება, ან უარი უნდა ითქვას მაღალი სიჩქარის განხორციელებაზე;

- მაღალი სიჩქარით მოძრაობის დროს ლოკომოტივის წინ იქმნება ჰაერის გადიდებული წნევა (წინააღმდეგობა), რომლის სიდიდე იზრდება მოძრაობაში მყოფი მატარებლის სიჩქარის კვადრატის პროპორციულად (ჩვეულებრივი, მთლიანლითონის მოძრავი შემადგენლობის პირობებში 160 კმ/სთ-ით მოძრაობის დროს ლოკომოტივის შუბლზე მოსული ჰაერის წინააღმდეგობა შეადგენს მთლიანი წინააღმდეგობის დაახლოებით 45, ხოლო 200 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობის დროს – დაახლოებით 70%); აღნიშნული წინააღმდეგობა ქმნის ლოკომოტივის ირგვლივ გარსშემომდევნი ჰაერის მძლავრ ნაკადს (აეროდინამიკურს), რომელიც საფრთხეს უქმნის ადნაკადის მოქმედების არეში მყოფ ადამიანებს (რკინიგზის მუშაკი, მგზავრი);

- ურთიერთმიმართ ლიანდაგის სტანდარტული განლაგებისას (სადგურში ლიანდაგის დერძებს შორის დაშორება შეადგენს 5,3, ხოლო ორლიანდაგიან გადასარჩენზე – 4,1 მ), აეროდინამიკური ნაკადი საფრთხეს უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას ჩქაროსნული

მატარებლების გვერდის აქცევის დროს: ამ ნაკადის ზემოქმედებით შემხვედრი მატა-რებლები ჯერ განიზიდებიან უკუმბიძგები ძალით ერთმა-ნეთისაგან, ხოლო დაშორების მომენტში მიიზიდებიან ერთმანეთისაკენ.

- თუ გვერდის აქცევა ხორციელდება ჩქაროსნულ სამ-გზავრო და ფხვიერი ტვირთით დატვირთულ სატვირთო მატარებელს შორის, ხდება ამ ტვირთის გაფანტვა აერო-დინამიკური ნაკადის მიერ. აღნიშნული პაერის ნაკადი ზემოქმედებს ლიანდაგის ახლოს (მაგრამ ნაგებობათა მია-ხლოების გაბარიტის ზომებში) განლაგებულ შენობა-ნაგებობებზე (განსაკუთრებით ფანჯრის შუშებზე);

- ერთმანეთისაგან სტანდარტული სიდიდით დაშორებულ ლიანდაგებზე ჩქაროსნული მატარებლების გვერდის აქცევა იწვევს წვრილი ფრაქციის ბალასტის ფენის (20 მმ-დე) გაფანტვას.

ჩქაროსნული მოძრაობის განხორციელებას, გარდა ზე-მოთ მოყვანილი შემზღვედველი პირობებისა, ხელს უშლის სადგურის ყელში განლაგებული ისრული გადამყვანები. საქმე იმაშია, რომ მატარებლის მოძრაობისას 130 კმ/სთ და მეტი სიჩქარით, 1/11 მარკის ისრული გადამყვანის კალმის ძირზე დაწოლა შეადგენს 3500 კგ/სმ² 2750-ის ნაცვლად. დაქანებული 1/22 მარკის ისრული გადამყვანის დროს, მისი კონსტრუქცია საშუალებას იძლევა გვერდით ლიანდაგში მატარებელმა იმოძრაოს 120 კმ/სთ სიჩქარით, ხოლო პირდაპირ

ლიანდაგში - დადგენილი სიჩქარით. თუ მატარებელი მოძრაობს პირდაპირ ლიანდაგში დაქანებული ისრული გადამყვანის განლაგების საწინააღმდეგო მხრიდან, აქაც ჯვარედინის გულარის ძირზე მოსული დაწოლა დიდია და აუცილებელია სიჩქარის შემცირება. გარდა ამისა, თუ ისრულ გადამყვანზე პირდაპირი მიმართულებით მატარებელი მოძრაობს 200 კმ/სთ და მეტი სიჩქარით, აუცილებელია ისრული გადამყვანის კონსტრუქციაში არ იყოს “მავნე სივრცე”, ე. ი. აუცილებელია უწყვეტი სარელსო ძაფების ქონა, ხოლო ეს მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ ჯვარედინს აქვს მოძრავი გულარი.

როგორც ცნობილია, ერთლიანდაგიან უბანზე შუალედურ სადგურებს შორის დაშორება შეადგენს 7-15, ხოლო ორლიანდაგიანზე – 15-30 კმ. ყველა შემთხვევაში გამყოფი პუნქტის (შუალედური სადგურის) ისრულ გადამყვანზე გვერდით ლიანდაგში გაუჩერებელი გავლის დროს მატარებლის მოძრაობის დასაშვები სიჩქარეა 120 კმ/სთ. თუ ექსპლუატაციაში მყოფ რკინიგზის მიმართულებაზე სარეალიზაციო სიჩქარე შეადგენს 200 კმ/სთ და მეტს, ეს ნიშნავს, რომ კონკრეტულ სიტუაციაში მატარებელს შეუძლია მოუწიოს გვერდით ლიანდაგში გაუჩერებლად გავლა, ანუ სიჩქარის შემცირება 120 კმ/სთ-მდე.

იმისათვის, რომ ლოკომოტივმა განავითაროს სიჩქარე 100 კმ/სთ-მდე ($i = 0, Q = 800 \text{ ტ}$), მას სჭირდება

დაახლოებით 6 კმ-ის მანძილი (აღნიშნული სიდიდე საშუალოა, რადგან სხვადასხვა სერიის ლოკომოტივს სხვადასხვა სიმძლავრი-თა და ტექნიკური მახასიათებლებით, სხვადასხვა სიჩქარის გასავითარებლად სჭირდება სხვადასხვა მანძილი). 100 კმ/სთ-დან 120 კმ/სთ-მდე – 11 კმ, ხოლო 120-დან 130 კმ/სთ-მდე – 27 კმ. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული მანძილის დაფარვამდე მატარებელს კვლავ შეიძლება მოუწიოს მეზობელი გამყოფი პუნქტის გავლა ანუ შეიძლება კვლავ საჭირო გახდეს სიჩქარის შემცირება. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში მაქსიმალური სარეალიზაციო სიჩქარე (200 კმ/სთ და მეტი), შეუძლებელი იქნება განხორციელ-დეს მთელ მიმართულებაზე, ხოლო სამარშრუტო სიჩქარე იქნება შედარებით დაბალი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩქაროსნული და ზექქაროსნული მოძრაობის განსახორციელებლად საჭიროა ექსპლუატაციის განსაკუთრებული პირობები, ანუ სპეციალური (ან სპეციალიზებული) ჩქაროსნული მაგისტრალების დაარსება. უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულ რკინიგზებზე აღწევენ ჩქაროსნული (და არა ზექქაროსნული) მოძრაობის განხორციელებას. ამ დროს ჩქაროსნული მოძრაობა გადმოაქვთ დღის საათებში ისეთნაირად, რომ ჩქაროსნული მატარებლები მოძრაობენ სატვირთო და სხვა ჩვეულებრივი სამგზავრო მატარებლებისაგან თავისუფალ ზონებში, ხოლო

სატვირთო მოძრაობას ძირითადად ახორ-ციელებენ დამის საათებში.

4.2. ჩქაროსნული სარკინიგზო მაგისტრალის ექსპლუატაცია და მისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება

თანამედროვე ჩქაროსნული მაგისტრალის ექსპლუატაცია ხორციელდება ზემოთ მოყვანილი ტექნიკური და ტექნოლოგიური მოთხოვნების საფუძველზე (ჩქაროსნულ სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვის განვითარებას მთელ მსოფლიოში, საფუძვლად დაედო პირველი, იაპონური ჩქაროსნული მაგისტრალის ექსპლუატაცია):

- ჩქაროსნულ მაგისტრალზე უპირატესად მოძრაობს ძრავაგაგონიანი ელექტრომატარებლები (მთელ შემადგენლობაზე მოძრაობისათვის საჭირო ენერგიის თანაბარი განაწილების პრინციპით);

- ჩქაროსნული მაგისტრალების აბსოლუტური უმრავლესობა ორლიანდაგიანია და გადასარბენზე ლიანდაგის დერძებს შორის დაშორება შეადგენს 4,2 მ (ზოგჯერ მეტ-საც), სტანდარტული სიდიდისაგან განსხვავებით;

- ჩქაროსნული სარკინიგზო და სხვა სახის მაგისტრალები იკვეთება სხვადასხვა დონეზე.

- ლიანდაგის სარელსო ძაფები აღჭურვილია უპირაპირო რელსებით, რომლებზეც არ მოქმედებს ტემპერატურის ცვალებადობის ოთხმოცვრადუსიანი დიაპაზონი ($\pm 40^{\circ}C$), ლიანდაგის კონსტრუქციაში

გათვალისწინებული
მოწყობილობის გამო;

- **ლიანდაგის** კონსტრუქციაში
გათვალისწინებულია ვიბ-რაციის შთანმთქმელი და
დინამიკური დატვირთვების შემამსუბუქებელი
მოწყობილობები (სპეციალური კონსტრუქციის
რკინა-ბეტონის შპალი, რეზინის ქვესადები, სპეცი-
ალური ზამბარიანი სამაგრი და სხვ.),

- **ლოკომოტივის** (წამყვანი ვაგონის)
კონსტრუქცია წარმოდგენილია დაქანებული
(წაწვეტებული) სახით მასზე მოთავსებული მაღალი
ტემპერატურის შესანარჩუნებელი გამათბობლებით,
ხოლო ვაგონები აღჭურვილია ხმაურისა და
ვიბრაციის ჩამქრობი მოწყობილობებით;

გარდა აღნიშნულისა, მატარებლის 200 კმ/სთ
და მეტი სიჩქარით მოძრაობის დროს,
კონსტრუქციული და ტექნოლოგიური დასაშვები
ნორმები ზედიწევნით უნდა იქნეს დაცული.
ნორმის დარღვევამ თუნდაც უმნიშვნელი სიდიდით,
ვთქვათ 1 სმ-ით ლიანდაგის კონსტრუქციაში,
შეიძლება გამოიწვიოს სავალალო შედეგი
მოძრაობის უსაფრთხოების თვალსაზრისით; ასეთი,
თითქოსდა უმნიშვნელო დარღვევა იწვევს
ვიბრაციის გადიდებასა და დინამიკური
დატვირთვების არათანაბარ განაწილებას რელსზე.
ამიტომ ჩქაროსნულ მაგისტრალზე მაქსიმალურად
გამორიცხავენ ბალასტის ფენას
(შეძლებისდაგვარად) და მათი აბსოლუტური

გამათა-ნაბრებელი

უმრავლესობა განლაგებულია რკინა-ბეტონის ფილებზე, ხოლო ეს უკანასკნელი ესტაკადასა ან ბეტონის საყრდენზე.

იმისათვის, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ჩქა-როსხული მატარებლის ისრულ გადამყვანზე მოძრაობა, ჩქაროსხულ მაგისტრალს აგებენ მოქმედი რკინიგზის გას-წვრივ არსებული გამყოფი პუნქტის (სადგურის) პარალელურად. მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის პუნქტები, მიუხედავად იმისა რამდენლიანდაგიანია ექსპლუატაციაში მყოფი არსებული რკინიგზა, ჩქაროსხულ მაგისტრალზე ერთმანეთისაგან დაშორებულია საშუალოდ 50 კმ-ით. მგზავრთა დასაკავშირებლად რკინიგზის სადგურთან (თუ ასეთი სადგურის ადგილმდებარეობა არ ემთხვევა ჩქარო-სხული მაგისტრალის ჩასხდომა-გადმოსხდომის პუნქტს – მაშინ დასახლებულ პუნქტთან) აგებენ სპეციალურ გვირა-ბებს. ჩქაროსხული მაგისტრალის მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის პუნქტში, ბაქანზე მოწყობილია სპეციალური ზღუდე (ღობე), რომელიც მოძრაობაში მყოფი ვა-გონის გვერდითა კედლიდან დაშორებულია 2,4 მ-ით. ჩქაროსხული მატარებლის გაჩერებამდე მგზავრის შესვლა აღნიშნული ღობის შიგნით აკრძალულია.

როგორც ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, სამ-გზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარის გაზრდით 200 კმ/სთ-ზე ზევით, აუცილებელია აიგოს ჩქაროსხული მაგისტრალი. მისი

მშენებლობისათვის საჭიროა, რომ მიმართულებაზე
იყოს მგზავრნაკადების მოცულობის მაღალი
პროცენტი და უზრუნველყოფილი იქნეს საჭირო
გამტა-რობის უნარი ანუ რკინიგზის ჩქაროსნული
მაგისტრალი იყოს ორლიანდაგიანი. თავისთვად
იგულისხმება, რომ ჩქაროსნული მაგისტრალი უნდა
ფუნქციონირებდეს სამატარებლო კავშირის
უახლესი სისტემებით.

სამგზავრო მოძრაობის გადატანა არსებული
(ექსპლუატაციაში მყოფი) ხაზიდან სპეციალურ
ჩქაროსნულ მაგისტრალზე, გამოიწვევს სატვირთო
მატარებლის მოძრაობის სიჩქარის ამაღლებას,
რადგან სამგზავრო მატარებლის მოხსნის
კოეფიციენტი მინიმუმადე შემცირდება. აღნიშნული
გარემოების გამო, ისევე როგორც სატვირთო
(რკინიგზის არსებულ ხაზებზე), ასევე სამგზავრო
მოძრაობაშიც (ჩქაროსნულ მაგისტრალებზე)
მრავალი მაჩვენებელი, ტექნიკური თუ ეპონომიკური,
გაუმჯობესდება. ყველა შემთხვევაში ჩქაროსნული
მაგისტრალის ექსპლუატაციის მიზანშეწონილობაზე
შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ შესაბამისი
გაანგარიშების საფუძველზე.

ჩქაროსნული ხაზის მშენებლობა უნდა
განვიხილოთ როგორც გამტარობის უნარის
გაზრდის დონისძიება მოცემულ მიმართულებაზე,
როგორც სატვირთო, ასევე სამ-გზავრო
მოძრაობისათვის. აქედან გამომდინარე, კაპიტა-
ლური დაბანდებები პროპორციულად უნდა

მიეკუთვნოს როგორც სატვირთო, ასევე სამგზავრო გადაზიდვებს, ხოლო საექსპლუატაციო ხარჯები ახალი ჩქაროსნული მაგისტრალის შენახვაზე მიეკუთვნება მხოლოდ სამგზავრო მოძრაობას. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, არსებული რკინიგზის პარალელურად ჩქაროსნული სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის დროს კაპიტალდაბანდებები და საექსპლუატაციო ხარჯები შეიძლება დავყოთ შემდეგ-ნაირად:

- ჩქაროსნული მაგისტრალისათვის საჭირო კაპიტალური ($E_{გამ}^{\text{წ}}$) და საექსპლუატაციო ($\mathcal{E}_{საგ}^{\text{წ}}$) ხარჯები;
- არსებული რკინიგზისათვის საჭირო კაპიტალური ($E_{გამ}^{\text{არ}}$) და საექსპლუატაციო ($\mathcal{E}_{საგ}^{\text{არ}}$) ხარჯები.

სპეციალიზებული ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის მიზანშეწონილობა წარმოებს კაპიტალდაბანდებების გამოსყიდვის ფაქტიური ($E_{გამ}^{\text{ფაქ}}$) და ნორმატიული ($E_{გამ}^{\text{ნორ}}$) გადების შედარებით, ე. ი. ტრადიციულად ცნობილი გამოსყიდვის ვადის მიხედვით. ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა მიზანშეწონილი იქნება მაშინ, თუ

$$E_{გამ}^{\text{ფაქ}} \leq E_{გამ}^{\text{ნორ}}, \quad (4.1)$$

სადაც

$$E_{\text{გამ}}^{\text{ფაქ}} = \frac{E_{\text{გამ}}^{\text{არ}} - E_{\text{გამ}}^{\text{ჩარ}}}{\mathcal{E}_{\text{გამ}}^{\text{ჩარ}} - \mathcal{E}_{\text{გამ}}^{\text{არ}}}.$$

(4.2)

ზემოთ მოყვანილი კაპიტალური და
საექსპლუატაციო ხარჯები, რომლებიც
ფუნქციონალურ კავშირში იმყოფებიან ცალკეულ
ცელად სიდიდეებთან, შეიძლება განისაზღვროს
შემდეგი პრინციპული დამოკიდებულებით:

$$\begin{aligned} E_{\text{გამ}}^{\text{ჩარ}} = & E_{\text{გამ}}^{\text{ნორ}} \left(K_{\text{ლოგ}}^{\text{სამ}} (v_{\text{ბგ}}, A, a_0, K_{\text{ლ}}) + K_{\text{გამ}}^{\text{სამ}} (v_{\text{ბგ}}, A, a_0, K_{\text{ბამ}}) + \right. \\ & + K_{\text{ჟეც}}^{\text{სამ}} (v_{\text{ბგ}}, A, a_0, K_{\text{გომ}}) + K_{\text{ლოგ}}^{\text{სამ}} (v_{\text{ბამ}}, \Gamma_{\text{წლ}}, Q_{\text{ბამ}}, K_{\text{ლ}}) + \quad (4.3) \\ & \left. + K_{\text{გამ}}^{\text{სამ}} (\Gamma_{\text{წლ}}, B_{\text{გამ.ბო}}, v_{\text{ბამ}}) + K_{\text{ორლ}}^{\text{სამ}} (A, Q, e, K_{\text{ორლ}}) \right) \end{aligned}$$

სადაც $K_{\text{ლოგ}}^{\text{სამ}}, K_{\text{ლოგ}}^{\text{სამ}}, K_{\text{გამ}}^{\text{სამ}}$,
 $K_{\text{გამ}}^{\text{სამ}}, K_{\text{ჟეც}}^{\text{სამ}}, K_{\text{ორლ}}^{\text{სამ}}$ არის შესაბამისად

კაპიტალური

ხარჯები სამგზავრო და
სატვირთო სალო-კომოტივო და საფაგონო პარკებზე,
სამგზავრო ვაგონის საცხებ-საპოხ მასალებზე და
ორლიანდაგიანი ჩქაროსნული მაგისტრალის
მშენებლობაზე;

$v_{\text{ბგ}}$ - სამგზავრო მატარებლის მოძრაობის
სელითი
სიჩქარე, კმ/სთ;
A - სადღედამისო მგზავრნაკადი, ათასი
მგზავრი;

- a_0 - სამგზავრო ვაგონის საშუალო ტეგადობა
 (და-
 სახლებულობა), მგზავრი;
- Q - სამგზავრო მატარებლის ბრუტოწონა, ტ;
- $K_{\text{ლ}}$ - სამგზავრო ლოკომოტივის ღირებულება,
 ლარი;
- $K_{\text{სამ}}$ - სამგზავრო ვაგონის ღირებულება, ლარი;
- $K_{\text{კომ}}$ - შესაცვლელი ინვენტარის ერთი
 კომპლექტის
 ღირებულება, ლარი;
- $v_{\text{საუბო}}$ - სატვირთო მატარებლის მოცულობის
 საუბო
- სიჩქარე, კმ/სთ;
- $I_{\text{წლ}}$ - წლიური ტვირთნაკადის მოცულობა,
 ტ.კბ;
- $Q_{\text{სატ}}$ - სატვირთო მატარებლის ბრუტოწონა, ტ;
- $B_{\text{კვ.სთ}}$ - ვაგონ-საათების შეჯამებული რაოდენობა
 მიმართულებაზე;
- e - სიდიდე, რომელიც გამოხატავს
 სატვირთო და
- სამგზავრო მატარებლების სიჩქარეების
 ფარ-
- ობას, გადასარბენების საშუალო სიგრძეს
 მი-
- მართულებაზე, სამგზავრო მატარებლის
 მოხ-

სნის კოეფიციენტს;
 $K_{\text{აღმ}} -$ ერთ კილომეტრზე მოსული წლიური
 საექს-

ლუატაციო ხარჯები ახალი ჩქაროსნული
 მა-

გისტრალის ტქნიკური აღჭურვილობის
 მოვლა-

შენახვაზე, ლარი.

სიდიდე $E_{\text{გა}}$ განისაზღვრება (4.3) ფორმულის
 ანალოგიურად, იმ განსხვავებით, რომ მასში არ
 იქნება ბოლო, მემკვევ შესაკრები.

$$\begin{aligned}
 & \text{სიდიდე } E_{\text{გა}} \text{ განისაზღვრება:} \\
 & \mathcal{E}_{\text{საგ}}^{\text{წ}} = \mathcal{E}_{\text{ლო}}^{\text{საგ}}(L_{\text{ლ}}, v_{\text{ბგ}}, A, a_0, \varepsilon, N_{\text{ლო}}, t_{\text{ლო}}) + \\
 & + \mathcal{E}_{\text{გა}}^{\text{საგ}}(L_{\text{ლ}}, v_{\text{ბგ}}, a_0, K_{\text{საგ}}, t_{\text{გა}}) + \\
 & + \mathcal{E}_{\text{გა}}^{\text{საგ}}(A, a_0, Q, e_{\text{ბგ}}, e_{\text{გა}}, v_{\text{ბგ}}) + \mathcal{E}_{\text{გა}}^{\text{საგ}}(A, Q, v_{\text{ბგ}}, C_{\text{გა}}) + \\
 & + \mathcal{E}_{\text{გა}}^{\text{საგ}}(v_{\text{ბგ}}, T_{\text{გა}}, A, a_0, e_{\text{გა}}) + \mathcal{E}_{\text{გა}}^{\text{საგ}}(L, v_{\text{ბგ}}, A, C_{\text{გა}}) + \\
 & + \mathcal{E}_{\text{გა}}^{\text{საგ}}(A, C_{\text{გა}}, v_{\text{ბგ}}, l_{\text{გა}}, N_{\text{ლო}}, Q, K_{\text{გა}}) + \\
 & + \mathcal{E}_{\text{ლო}}^{\text{გა}}(L_{\text{ლ}}, v_{\text{ბგ}}, \Gamma_{\text{წლ}}, Q_{\text{გა}}, \varepsilon, N_{\text{ლო}}) + \mathcal{E}_{\text{გა}}^{\text{გა}}(\Gamma_{\text{წლ}}, L, v_{\text{ბგ}}, e_{\text{გა}}) + \\
 & + \mathcal{E}_{\text{ლო}}^{\text{გა}}(L_{\text{ლ}}, v_{\text{ბგ}}, \Gamma_{\text{წლ}}, Q_{\text{გა}}, e_{\text{გა}}) + \mathcal{E}_{\text{გა}}^{\text{გა}}(L, q_{\text{გა}}, C_{\text{გა}}, P, i_{\text{გ}}) + \\
 & + \mathcal{E}_{\text{გა}}^{\text{გა}}(q_{\text{გა}}, K_{\text{გა}}, C_{\text{გა}}, v_{\text{ბგ}})
 \end{aligned} \tag{4.4}$$

(4.4)

სადაც $\mathcal{E}^{b_{\alpha}}_{\text{ლო}}, \mathcal{E}^{b_{\alpha}}_{\text{გა}}$, $\mathcal{E}^{b_{\alpha}}_{\text{ბრ}}$, $\mathcal{E}^{b_{\alpha}}_{\text{გა}}$,
 $\mathcal{E}^{b_{\alpha}}_{\text{გა}}$, $\mathcal{E}^{b_{\alpha}}_{\text{გა}}$, $\mathcal{E}^{b_{\alpha}}_{\text{ბრ}}$, $\mathcal{E}^{b_{\alpha}}_{\text{გა}}$, $\mathcal{E}^{b_{\alpha}}_{\text{ბრ}}$, $\mathcal{E}^{b_{\alpha}}_{\text{გა}}$, $\mathcal{E}^{b_{\alpha}}_{\text{ბრ}}$, $\mathcal{E}^{b_{\alpha}}_{\text{გა}}$ არის საექსპლუატაციო
სარჯე-
 ბი შესაბამისად ლოკომოტივის
 მიმდინარე მო-
 მსახურებაზე, სამგზავრო ვაგონის
 მიმდინარე
 შენახვაზე, სალოკომოტივო და
გამცილებელ-
 თა ბრიგადის შენახვაზე, ლოკომოტივის
 მექა-
 ნიკურ მუშაობაზე (ენერგეტიკული
სარჯები), სამგზავრო ვაგონის შესაცვლელი
 ინვენტარის
 მიმდინარე შენახვაზე, მგზავრის
 ყოფნაზე მა-
 ტარებელში ტრანსპორტირების დროს,
სამგზა-
 ავრო მატარებლის გაჩერებების
რიცხვზე, სა-
 ტვირთო ლოკომოტივის მიმდინარე
 მომსახუ-
 რებაზე, სატვირთო ვაგონის მიმდინარე
მოვ-

ლა-შენახვაზე, სატვირთო მოძრაობაში
სა-

ლოკომოტივო ბრიგადების შენახვაზე,
მექანი- კურ მუშაობაზე და ტექნიკურ
სადგურში სატვირთო მატარებლის
გაჩერებაზე, ლარი;

$L_{\text{ლ}}$ - ლოკომოტივის წევის მხრის სიგრძე, კმ;

ε - ლოკომოტივის რელსთან შეჭიდების
რეჟიმში
მუშაობისას 1 კვტ.სთ სიმძლავრეზე
მოცული

ხარჯის ნორმა, ლარი;

$N_{\text{ლო}}$ - ლოკომოტივის სიმძლავრე, კვტ;

$t_{\text{ლო}}$ - ლოკომოტივის სამსახურის ვადა, წელი;

$t_{\text{გამ}}$ - სამგზავრო ვაგონის სამსახურის ვადა,
წელი;

$e_{\text{გამ}}, e_{\text{გამ}}$ - შესაბამისად სალოკომოტივო და
გამცილებელ-
თა ბრიგადების მუშაობის საათობრივი
დირქ-

ბულება, ლარი;

$C_{\text{გამ}}$ - 1 კვტ.სთ-ის ნორმატიული დირებულება,
ლარი;

$T_{\text{გამ}}$ - სამგზავრო შემადგენლობის მოცდენის
დრო

სადგურებში დგომისას (გაჩერებებზე)
 და მო-
 ბრუნების პუნქტში, სო;
 $e_{\text{კომ}} - 1$ გაგონში შესაცვლელი აღჭურვილობის
 ერთ
 კომპლექტზე მოსული წლიური ხარჯი,
 ლარი;
 $L -$ განსახილველი მიმართულების სიგრძე,
 კმ;
 $C_{\text{გან}} - 1$ მგზავრ.სო-ის დირებულება, ლარი;
 $l_{\text{გან}} -$ გაჩერებებს შორის საშუალო მანძილი,
 კმ;
 $K_{\text{გან}} -$ მატარებლის გაჩერების რიცხვი
 მიმართულებ-
 ბაზე;
 $e_{\text{საგ}} - 1$ საგვირთო გაგონის მოვლა-შენახვაზე
 სა-
 ჭირო წლიური ხარჯი, ლარი;
 $q_{\text{გან}} -$ სამგზავრო ვაგონის ბრუნვორნა, ტ;
 $i_{\text{გან}} -$ მატარებლის მოძრაობის
 წინააღმდეგობის
 ექვივალენტური ქანობი;

$$\begin{aligned}
 \mathcal{E}_{\text{გან}} &= \mathcal{E}_{\text{საგ}} + \mathcal{E}_{\text{გან}} \left(P, Q, C_{\text{გან}}, A, q_{\text{გან}}, a_0, v_{\text{გან}}, v_{\text{საგ}} \right) + \\
 &+ \mathcal{E}_{\text{გან}} \left(v_{\text{გან}}, Q, C_{\text{გან}}, v_{\text{გან}}, C_{\text{გან.სო}} \right)
 \end{aligned} \tag{4.5}$$

სადაც თბილი, თბილი არის საექსპლუატაციო ხარჯები
 შესაბა-
 გამყოფ მისად მატარებლის მოძრაობისას
 მატარებლისაგან პუნქტში და სამგზავრო
 სატვირთოს (ენერგეტიკული სატვირთოს) გადასწრებაზე
 სარჯები მატარებლის აჩქარება-
 შენელებაზე სადგურში შესვლისა და
 გამოსვლისას), ლარი;
 $v_{\text{მო}}, v_{\text{სა}}$ - შესაბამისად მატარებლის მოძრაობის
 სიჩ-
 ქარე სადგურში შესვლისა და
 სასადგურო ლიანდაგის გავლის დროს, კმ/სთ;
 $v_{\text{სა}}$ - სატვირთო მატარებლის საშუალო
 სვლითი სიჩქარე, კმ/სთ;
 $C_{\text{მატ.სთ.}}$ - 1 მატარებელ.სთ-ის ღირებულება
 სატვირ- თო მოძრაობაში, ლარი;
 აღნიშნულ (4.3–4.5) ფორმულებში კონკრეტული
 პარამეტრები შეიძლება შეიცვალოს
 იმისდამიხდვით, თუ რა სახის მოძრაობასთან

გვაქვს საქმე, ჩქაროსნულთან თუ ჩვეულებრივთან. ამ ფორმულებში რეალურთან მაქსიმა-ლურად მიახლოებული მნიშვნელობების ჩასმის შემდეგ (ცნობილი მეთოდიკების მიხედვით), შეიძლება დავადგინოთ ჩქაროსნული სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის მიზანშეწონილობა მგზავრნაკადის მოცულობისა და დაყვანილი სარჯების (კაპიტალური და საექსპლუ-აციო) განმოსყიდვის ვადის მიხედვით.

4.3. ჩქაროსნული სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვების არსებული მდგრამარეობა და განვითარების პერსპექტივები

დღეისათვის საზღვარგარეთის რკინიგზებზე სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარის ამაღლება ხორ-ციელდება ჩქაროსნულ მაგისტრალებზე. თუ გასული საუ-კუნის 70-იანი წლების მიწურულს ამ პროცესში ჩართული იყო სულ რამდენიმე ქვეყანა (იაპონია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია), XXI საუკუნის დასაწყისში ამ ქვეყნების რიცხვმა 47 მიაღწია, ხოლო დღეისა-თვის დიდი ხანია უკვე გასცდა 50-ს. აღსანიშნავია ის გა-რემონტის პროცესის ქვეყნებში ჩქაროსნული სარკინიგზო მაგისტრალების განვითარების ეროვნული პროგრამებიდან მთლიანად გადავიდნენ ერთიან

ევროპულ პროგრამაზე. შესაბამისად, დღეისათვის ევროპაში ფუნქციონირებს ჩქაროსნული საერთაშორისო სარკინიგზო მაგისტრალები. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ჩქაროსნული მატარებლის “ევროსტარი”-ს ფუნქციონირება საფრანგეთს, ბელგიასა და ინგლისს შორის (მატარებლის მოძრაობის მარშრუტია პარიზი-ბრიუსელი-ლონდონი). ასე-თივე მატარებელი “ტალისი” კურსირებს ევროპის ქალა-ქებს შორის – პარიზი (საფრანგეთი) – ბრიუსელი (ბელ-გია) – ამსტერდამი (ჰოლანდია) – კიოლნი – მაინის ფრანგულტი (გერმანია). ადნიშნული მაგისტრალის წილად მოდის მთლიანი მგზავრნაკადის დაახლოებით 60%. აქ, ამ დერეფანში (2500 კმ-დე), მატარებლის მოძრაობის სვლითი სიჩქარე შეადგენს 250-300 კმ/სთ.

დღეისათვის მსოფლიოში ფუნქციონირებს დაახლო-ებით 4500 კმ სიგრძის სპეციალიზებული ჩქაროსნული მაგისტრალები, ხოლო თუ ამ რიცხვს დავუმატებთ რეკონსტრუირებული რკინიგზების სიგრძესაც, მაშინ საერთო ჯამში ეს რიცხვი 16000 კმ-ს გადააჭარბებს. მოცემულ ეტაპზე ჩქაროსნული მაგისტრალის ფუნქციონირების მოწინავე პოზიციებზეა საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, შვეიცარია, დანია, ნორვეგია, შვედეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, ავსტრია, რუსეთი, პოლონეთი, საბერძნეთი, თურქეთი, რუმინეთი, აშშ, იაპონია. ჩქაროსნული მაგისტრალები მშენებლობის

პროცესშია ჩინეთში (პეკინი – აეროპორტის ხაზი უკვე ფუნქციონირებს, მასობრივად მიმდინარეობს რამდენიმე ჩქაროსნული მაგისტრალის ერთდროული მშენებლობა), ტაივანში, ინდოეთში, სამხრეთ კორეაში, ავსტრალიაში. მოკლე მანძილებზე (50–100 კმ) მიმდინარეობს მშენებლობა (ან დაგეგმილია მშენებლობა უახლოეს პერსპექტივაში) კიდევ მრავალ ქვეყანაში.

ჩქაროსნული მოძრაობის განსახორციელებლად, გარდა მძლავრი ლიანდაგისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შესაბამის მოძრავ შემადგენლობას. მის მიმართ წაყენებული მთავარი მოთხოვნებია: მინიმალური ტარაჭონა, კომფორტულობის უმაღლესი დონე, ზემგრძნობიარე და საიმედო სამუხრუჭო სისტემები. დღეისათვის მსოფლიოს მაგისტრალებზე კურსირებენ შემდეგი დასახელების ჩქარო-სნული მატარებლები: საფრანგეთში – “ტევ-დუპლექსი” – ორიარისიანი ვაგონებით და “ტევ-ტალისი”; “ეტრ-500”, “იცე-3” – იტალიაში; “ევროსტარი” და “ტრანსრაპიდი” – გერმანიაში, “სერია 500-ნოზომი” ორიარუსიანი ვაგონებით – იაპონიაში; “სოკოლი” – რუსეთში და სხვ. დღეისათვის ჩვეულებრივი სარელსო ძაფებით აღჭურვილ რკინიგზის ლიანდაგზე რეალიზებულია რეკორდული სიჩქარე 574,7 კმ/სთ, რეკორდმსმენია საფრანგეთი (2007 წელი, აპრილი), ხოლო ექსპერიმენტულ პირობებში იაპონიაში რეალიზებულია დაახლოებით 582 კმ/სთ სიჩქარე.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი აუცილებელი მოთხოვნებისა, თანამედროვე ჩქაროსნული მოძრავი შემადგენლობის კონსტრუქციულ გადაწყვეტაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოძრავი შემადგენლობის ფორმას. ის უნდა იყოს მაქსიმალურად გლუვი, მთლიანლითონის შემადგენლობასთან შედარებით ნაკლები განივი კვეთით, ლო-კომოტივის (წამყვანი ვაგონის) დაქანებული (წაწვეტებული) ფორმით აეროდინამიკური ძალების ნაკლები ზემო-ქმედების მიზნით. მაგალითად, იაპონური წარმოების ჩქაროსნული მატარებლის, “სერია 500 - ნოზომი”-ს წამყვანი ვაგონის წაწვეტებული ცხვირის სიგრძე შეადგენს 15 მ-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში ჩქაროსნულ მოძრაობაში გამოყენებულია ულოკო-მოტივო მოძრავი შემადგენლობა ანუ ძრავავაგონიანი ელექტრომატარებლები. მათი უმრავლესობა მუშაობს ცვლად დენზე, ხოლო გარკვეულ ნაწილს შეუძლია მუშაობა როგორც მუდმივ, ასევე ცვლად დენზე ერთდრო-ულად.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გარემოს დაცვის საკითხებს. ითვლება, რომ ისეთი ენერგორესურსების გამოყენება, როგორიცაა ქვანახშირი და ნავთობი, იწვევს ატმოსფეროში ნახშირორჟანგის დაგროვებას და შესაბამისად გარემოს დაბინ-ძურებას. სატრანსპორტო სისტემა პირდაპირ კავშირშია ამ პრობლემასთან. მასზე მოდის გარემოს

დაბინძურების 1/5. ამ მხრივ რკინიგზის ტრანსპორტს
აქვს დიდი უპირა-ტესობა ტრანსპორტის სხვა
სახეობებთან შედარებით. აღნიშნულიდან
გამომდინარე, ჩქაროსნული სარკინიგზო
მაგისტრალების ექსპლუატაცია არის სარკინიგზო
სამგზავრო გადაზიდვების განვითარების ერთ-ერთი
პრიორიტეტული მიმართულება მოცემულ ეტაპზე.

ლიტერატურა

1. პ. ქენქაძე, გ. ცერცევაძე, შ. ლორია, ა. ლაბაძე.
ჩქარო-
სნული სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვების
განვი-
თარების ზოგიერთი საკითხისადმი. თბილისი,
სამეცნი-
ერო პერიოდული ჟურნალი “სოციალური
ეკონომიკა”
№5(11), 2010, გვ. 55-58;
2. პ. ქენქაძე, ლ. ლომსაძე, გ. უგანია, პ.
ქუთათელაძე, დ.

კიკნაძე. სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების გან-

ვითარების თანამედროვე ტენდენციები საქართველოს

რეინიგზაზე. თბილისი, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნა-

ლი “მეცნიერება და ტექნოლოგიები” №4-6, 2010, გვ.
111-114;

3. პ. ქენჭაძე, გ. დოდელია. მგზავრთა ჩქაროსნული სარკი-

ნიგზო გადაყვანის გაუმჯობესების პერსპექტივები
თა-

ნამედროვე ეტაპზე. თბილისი, “მეცნიერება და ტექ-

ლოგიები” №4-6, 2004, გვ. 81-84;

4. Кенкадзе П.З. Актуальные вопросы развития железнодорож-

ных пассажирских перевозок в современных условиях.
//Про-

блемы прикладной механики №1, Тбилиси, 2003,
стр.123-127;

5. Правила тяговых расчетов для поездной работы.
Москва,

«Транспорт», 1985.-288с;

6. Технико-экономические расчеты в эксплуатации
железных

- дорог. Москва, «Транспорт», 1983.-255с;
7. Черномордик Г.И. Повышение скорости движения поездов.
Москва, «Транспорт», 1964.-202с;
8. Колпаков В.С., Шубко В.Г. Совершенствование пассажирских перевозок. Москва, «Транспорт», 1983.-192с;
9. Кочнев Ф.П. Повышение скоростей движения пассажирских поездов. Москва, «Транспорт», 1970.-270с;
10. Кочнев Ф.П. Пассажирские перевозки на железнодорожном транспорте. Москва, «Транспорт», 1980.-496с;
11. Киселев И.П. Международный конгресс по высокоскоростному движению. // Железнодорожный транспорт, 1999, №3,
с. 60-69;
12. Совершенствование пассажирских перевозок на железнодорожном транспорте. Москва, «Транспорт», 1991.-144с;
13. Скоростные железные дороги Японии (синкансен).
Москва,
«Транспорт», 1984.-198с;
14. Угрюмов А.К., Грошев Г.М., Кудрявцев В.А., Платонов Г.А.

Оперативное управление движением на
железнодорожном
транспорте. Москва, «Транспорт», 1983.-238с;

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი-----

3 გვ

- | | | |
|------|---|---|
| 1. | სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვების
განვითარების ძირითადი მიმარ-
თულებები თანამედროვე პირობებში-- | 5 |
| 1.1. | თანამედროვე სარკინიგზო სამგზავრო
გადაზიდვითი პროცესის ზოგადი დახა-
სიათება----- | 5 |
| 1.2. | საქართველოს რკინიგზაზე სამგზავრო
გადაზიდვითი პროცესის განვითარების | 9 |

	მოკლე მიმოხილვა-----	
1.3.	სარკინიგზო სამგზავრო გადაზიდვების განვითარების ტენდენციები საერთაშო- რისო დონეზე და მისი გავლენა საქარ- თველოს რკინიგზის ტრანსპორტის ფუნ- ქციონირებაზე-----	14
2.	სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარის ამაღლებაზე მოქმედი ფაქტ- ორები-----	21
2.1.	პაერის წინააღმდეგობისა და საანგარი- შო ქანობის გავლენა სამგზავრო მატა- რებლის მოძრაობის სიჩქარეზე-----	21
2.2.	მატარებლის მასის გავლენა მოძრაობის სიჩქარეზე-----	29
2.3.	ვაგონის ტარის შემცირება, როგორც სამგ- ზავრო მატარებლის ბრუტომასის შემცირე- ბისა და მისი ტევადობის გაზრდის ერთ-ერ- თი ეფექტური საშუალება-----	32
3.	ლიანდაგის ექსპლუატაცია ჩქაროსნუ- ლი მოძრაობის პირობებში-----	38
3.1.	ზოგადი მოთხოვნები-----	38
3.2.	ჩქაროსნულ მაგისტრალზე ლიანდაგის მიმართ წაყენებული მოთხოვნები-----	41
3.3.	ჩქაროსნული მატარებლის მოძრაობის პირობები მრუდე უბნებში და უპირაპი- რო რელსის ექსპლუატაცია ტემპერატუ- რის ცვალებადობის დროს-----	45
3.4.	ლიანდაგის მოწყობის თავისებურებანი	49

მიწის ვაკისზე, ესტაკადასა და გვირა- ბში-----	
3.5. ჩაქაროსნული სარკინიგზო მაგისტრალ- ზე უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველ- ყოფის დამატებითი ღონისძიებები-----	55
4. ჩაქაროსნული სარკინიგზო მაგისტრალის ფუნქციონირება-----	60
4.1. განსაკუთრებული პირობები ჩაქაროსნუ- ლი მაგისტრალის ფუნქციონირებისა- თვის-----	60
4.2. ჩაქაროსნული სარკინიგზო მაგისტრალის ექსპლუატაცია და მისი ტექნიკურ-ეკო- ნომიკური დასაბუთება-----	63
4.3. ჩაქაროსნული სარკინიგზო სამგზავრო გა- და დანერატურა-----	
დანერატურა-----	
განვითარების პერსპექტივული მდგრამარტბა --72	

СКОРОСТНЫЕ ЖЕЛЕЗНОДОРОЖНЫЕ ПАССАЖИРСКИЕ ПЕРЕВОЗКИ

(Курс лекций)

На грузинском языке

А в т о р: **Кенкадзе Петр Заурович,**
доктор технических наук, профессор

Р е ц е н з е н т ы: **Морчиладзе Роман Гелардиевич,**
кандидат технических наук,
ассоциированный профессор

Шарвашидзе Кахабер Автандилович
академический доктор